# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRESP.GE

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№103-104 (10106-10107) 2026 წლის 6 აგვისტო, ხუთშაბათი




4 5

## ლიტერატურული რატიანიზმი თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში

„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა“

## ევროპა ჩვენ თვალწინ იღუპება, იმედი არსად ჩანს



იხ. 10 გვ.

ამსტერდამის პრაიდ კვირეული

---

## ომი, რომელსაც მთელი მსოფლიოს შთანთქმა შეუძლია

დევიდ ფრენჩი:



იხ. 3 გვ.

ბესარიონ კილასონია



8

## პორტრეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილისა



იხ. 12 გვ.

## გიორგი უდესიანსა და ალექსანდრე მუხაძეს 10,5 წლით ციხე მიესაჯათ!

## კიბერტერორი საგარეჯოში

13

უცნობი პირი არასრულწლოვნებსა და მათ მშობლებს ემუქრება!

## ვის გაიყოლებს ვანო ზარდიაშვილი?!



7

ქუთაისელი მშვიდობის-მყოფელის მსოფლიო იდეა



6

## ჰალსტუხი, რომლის ჭამაც აკრძალულია!!!

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



ირაკლი კობახიძე:

# ივნისის თვეში 8,6 პროცენტი იყო ეკონომიკური ზრდა, ექვსი თვის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 7,9 პროცენტი, რაც ნიშნავს, რომ ვინარჩუნებთ ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს!

ჩვენს ურთიერთობებს შუა აზიის ქვეყნებთან ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ კიდევ უფრო მეტად გააღრმაოს ურთიერთობები ცენტრალური აზიის ქვეყნებთან.

* * *

ნაურუს მხრიდან ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკასა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაუქმებით დასტურდება, რომ სამართლის ნორმების პატივისცემა არის ჯანსაღი საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველი.

* * *

ეკონომიკის ზრდის პარალელურად, იზრდება ჩვენი სავალუტო რეზერვები, გასულ თვეში სავალუტო რეზერვებმა შეადგინა 7.1 მლრდ დოლარი, რაც ისტორიული მაქსიმუმია.

* * *

სოხუმის უნივერსიტეტში აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებმა მოიპოვა აკრედიტაცია. შესაბამისად, სწორედ სოხუმის უნივერსიტეტში განხორციელდება შესაბამისი პროგრამები.

ზუგდიდისა და ახალციხის უნივერსიტეტებს ამ რეფორმის ფარგლებში დაემატა ტურიზმის პროგრამები.

□ჩვენი ამოცანაა, მუდმივად დაიხვეწოს შესაბამისი პროგრამები სოხუმის უნივერსიტეტში. ასევე, ზუგდიდისა და ახალციხის უნივერსიტეტებს ამ რეფორმის ფარგლებში დაემატა ტურიზმის პროგრამები. ესეც არის რეფორმის მნიშვნელოვანი შედეგი. მინდა, მადლობა გადავუხადო განათლების მინისტრს იმისათვის, რომ წარმატებით ხორციელდება განათლების რეფორმა, რომელიც არის კომპლექსური, რთული პროცესი, თუმცა დღემდე ძალიან დიდი წარმატებით ვახორციელებთ შესაბამის რეფორმას და ვდგამთ შესაბამის ნაბიჯებს□..

* * *

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელიც □ჯივინოსტატს□შეიძენს და დანერგავს, საქართველო მოქალაქეებზე ზრუნვის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

კომპანია □ტალფარმაკოსთან□გაფორმდა ხელშეკრულება მედიკამენტ □ჯივინოსტატის□შეძენის თაობაზე. ამ მედიკამენტს მაღალი ფასის გამო არ ყიდულობს მრავალი ისეთი ქვეყანაც კი, რომლის ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს ეკონომიკას 5-ჯერ და 10-ჯერ აღემატება. ეს არის დღევანდელი მოცემულობა, თუმცა საქართველო, მათ შორის ჯანდაცვის სფეროში, არის მოქალაქეებზე ზრუნვის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი. სწორედ ამის გამოხატულებაა ის პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყო კონკრეტულად ამ მედიკამენტის შეძენასთან. სწორედ ამ ზრუნვის გამოხატულებაა ამ პროცესების წარმატებით დაგვირგვინება. ეს მედიკამენტი განკუთვნილია პაციენტებისთვის 6 წლის ასაკიდან გადაადგილების უნარის შენარჩუნებამდე. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ მუშაობას. ახლაც გრძელდება აქტიურად მუშაობა მეორე მედიკამენტის შესაძენად და იმედი გვაქვს, რომ მალე დასრულდება წარმატებით ეს პროცესიც.

# დაუბრუნე ქალაქი თბილისელებს!

## თბილისის მთავრობის გუშინდელი სხდომიდან



კახა კალაძე: ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ჩვენ რუსთაველის გამზირის რეაბილიტაციის ვადა გადმოვწიეთ და ოქტომბერში უნდა დავასრულოთ. აქვე საუბრობდნენ, რომ სამუშაოები არაჯეროვნად და უხარისხოდ შესრულდებოდა. არ ვიცი, რატომ უნდა ჰქონდეს მსგავსი დამოკიდებულება და რატომ უნდა ცდილობდე, მაყურებელი ამყოფო მუდმივად სიცრუეში. ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ სამუშაოები ნოემბრის ბოლოს დასრულდება – თავისი მიწისქვეშა კომუნიკაციებით, საგზაო ინფრასტრუქტურით.

ასევე, სიცრუეა სოციალურ ქსელებში გავრცელებული კიდევ ერთი ინფორმაცია, რომ თითქოს რუსთაველის გამზირის რეაბილიტაციის პროცესში მრავალწლოვანი ხეები მასიურად იჭრება და თბილისის მერია მწვანე სივრცეებს ანადგურებს.

თავისუფლების მოედანზე მოიჭრა ერთადერთი ხე, რომელიც იყო ფუღუროიანი და არსებობდა მისი წაქცევის რისკი. გარდა ამისა, მიწის საფარის ნაწილის მოხსნის გამო, სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა მიწისქვეშა გადასასვლელთან მდებარე მრავალწლიან ჭადარს. გადაიბელა თბილისის კლასიკური გიმნაზიის მიმდებარედ არსებული ჭადარიც. რაც ყველაზე მთავარია, ყველა ასეთი გადაწყვეტილება ეფუძნება სპეციალისტების დასკვნას. თუ ხე დაავადებულია, გამხმარია და საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, პასუხისმგებლიანი ხელისუფლება ვალდებულია, იმოქმედოს. ეს არის უსაფრთხოების საკითხი და არა პოლიტიკის.

სამწუხაროდ, ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფი ცდილობს, ადამიანების უსაფრთხოებაც კი პოლიტიკური სპეკულაციის თემად აქციოს. ჩვენი პასუხი ყოველთვის იქნება საქმე, ფაქტები და კონკრეტული შედეგები. ქალაქის სიყვარული სიტყვებით არ იზომება. თუ მართლა გიყვარს ქალაქი, პარკებს არ ყიდი - მათ იცავ. რეკრეაციულ სივრცეებს არ ამცირებ – აფართოებ. ქალაქს არ ართმევ – ქალაქს უბრუნებ. 2017 წლიდან, მას შემდეგ, რაც თბილისის მერის პასუხისმგებლობა ავიღე, არც ერთი პარკი, არც ერთი სკვერი, არც ერთი რეკრეაციული სივრცე და არც ერთი სტადიონი არ გასხვისებულა იმისთვის, რომ იქ საცხოვრებელი კორპუსები აშენებულიყო. პირიქით, ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც წლების განმავლობაში არავის გაუკეთებია – ქალაქს უკან ვუბრუნებთ იმ პარკებს, სკვერებს, რეკრეაციულ სივრცეებსა და სტადიონებს, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს იყო გასხვისებული. ამისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯება. ეს არის ორ განსხვავებულ მიდგომას შორის განსხვავება. ერთი მიდგომა იყო – გაყიდე ქალაქი, ჩვენი მიდგომაა – დაუბრუნე ქალაქი თბილისელებს. სწორედ ამიტომ ვაშენებთ ახალ პარკებს, ვქმნით ახალ რეკრეაციულ სივრცეებს, ვრგავთ ათასობით ხეს და ვაბრუნებთ იმ ტერიტორიებს, რომლებიც საზოგადოებამ წლების წინ დაკარგა.

რუსთაველის გამზირზე არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელებში ფუნქციონირებს კომერციული ფართები, რომლებიც გაცემულია იჯარით. სარეაბილიტაციო პროცესში ეს ადამიანები განთავისუფლებული იქნებიან საიჯარო გადასახადისგან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. საუბარია რუსთაველის გამზირის N37-ზე, N1 გიმნაზიის წინ, ოპერასთან და თავისუფლების მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელის ნაწილზე. რაც შეეხება პარკირების საკითხს, ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა დროებით გათიშულია მთაწმინდის 28 ქუჩაზე და მოქალაქეებისთვის პარკირებით სარგებლობა, სამუშაოების პერიოდში, უფასოა. ეს ქუჩებია: თაბუკაშვილის, ვაჩნაძის, შენგელაიას, ლეონიძის, სულხან-საბას, ინგოროყვას, გუდიაშვილის, ფურცელაძის, ჯორჯაძის, ჭანტურიას, ლაღიძის, მესხიას, აბაშიძის, ჯავახიშვილის, ახვლედიანის, ძმები კაკაბაძეების, ქიაჩელის, ნიკოლაძის, მიმინოშვილის, გრიბოედოვის, ჭავჭავაძის, ლაღიძის, ბესიკის, ჟვანიას, შევჩენკოს, ლესია უკრაინკას, ძმები ზუბალაშვილებისა და ჭიჭინაძის ქუჩებზე.



□თბილისის განვითარების ფონდი□მთაწმინდის რაიონში, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის N51-ში მდებარე XIX საუკუნის ბოლოს აშენებული ისტორიული საცხოვრებელი სახლის სრულ რეაბილიტაცია-რესტავრაციას იწყებს. ნაგებობა გამოირჩევა თავისი უნიკალური განთავსებითა და არქიტექტურით – იგი რთულ რელიეფზეა აგებული და ორივე მხრიდან უნიკალურ ფასადს ქმნის. აღნიშნულ სახლში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც სერიოზული პრობლემა შეუქმნა ძეგლს. მოეწყობა ხის ახალი კონსტრუქცია და სახურავი დაიფარება თუნუქის ფურცლებით; აღდგება და რესტავრირდება მტკვრის სანაპიროსა და თაბუკაშვილის ქუჩის მხარეს არსებული ხის შუშაბანდები და ა.შ. თითოეულ დეტალს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა და ისტორიული შენობა სრულად რეაბილიტირდება. ასევე, პროექტის ფარგლებში, აღდგება ერკერების დეკორატიული ელემენტები და ისტორიული კარ-ფანჯრები; იგეგმება ფასადების შეღებვა და მასალების შერჩევა განხორციელდება ჩატარებული ლაბორატორიული/ფერის კვლევის საფუძველზე, შესაბამისი სპეციალისტების უშუალო მეთვალყურეობით. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2029 წლის მარტში დასრულდება.



კიდევ ერთი ისტორიული შენობის კაპიტალურ რეაბილიტაციას მთაწმინდის რაიონის გამგეობა განახორციელებს. კერძოდ, გამაგრდება ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩის N14-ში არსებული საცხოვრებელი სახლი. შენობა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, III კატეგორიის ავარიულობის ხარისხისაა. ის □ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის□ფარგლებში გამაგრდება. პროექტით გათვალისწინებულია შენობის ფასადის რეაბილიტაცია და პირვანდელი სახის დაბრუნება. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ყველა დეტალს. ყველაფერი მოწესრიგდება. ამაჟამად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობაში 19 ოჯახი ცხოვრობს. სამუშაოების პროცესში, აღნიშნულ ოჯახებს ქირით გავიყვანთ. შენობის გამაგრების შემდეგ, მათ რეაბილიტირებული და მოწესრიგებული საცხოვრებელი სახლები გადაეცემათ. სამუშაოები 2027 წლის მარტში დასრულდება.




# „ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას, უპატრონოდ დარჩენილებო“!

ენმ-ში ყრილობა დასრულდა, შეიქმნა კოლეგიალური მმართველობის ორგანო. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყრილობა გუშინ გაიმართა.

ყრილობის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ გაუქმდა პარტიის თავმჯდომარის, გენერალური მდივნის და სხვა თანამდებობები და შეიქმნა კოლეგიალური მმართველობის ორგანო. მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი ირაკლი ფავლენიშვილი იქნება.

– გაიმართა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მე-13 ყრილობა. საეტაპო ყრილობა იყო, ვინაიდან პარტია გადადის მოდერნიზაციაზე, განახლებაზე. იცით, რომ რამდენიმე ახალი ინიციატივაა წარდგენილი მიხეილ სააკაშვილის მიერ, მათ შორის რეფორმების საბჭოს შექმნაზე ნანუკა ჟორჟოლიანის ხელმძღვანელობით, მათ შორის იქმნება გუნდი რომელიც დადებს სტრატეგიას პარტიის რეფორმირების და უახლოესი 6 თვის განმავლობაში პარტია ამ დოკუმენტს მიუბრუნდება ახალ ყრილობაზე.

ამ პერიოდის განმავლობაში პარტიის საქმიანობის წარმართვისთვის და ორგანიზაციული უზრუნველყოფისთვის გაუქმდა პარტიის თავმჯდომარის, გენერალური მდივნის და სხვა თანამდებობები, პოზიციები და შეიქმნა კოლეგიალური მმართველობის ორგანო, მმართველი საბჭოს სახით.

მმართველი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა არაუმეტეს 9 წევრისა, ყრილობაზე წარდგენილი იყო პოლიტსაბჭოს მინიმუმ 15 წევრის მიერ სხვადასხვა კანდიდატები ამ მმართველ საბჭოში, თუმცა საბოლოო ჯამში ქალბატონმა თინა ბოკუჩავამ უარი განაცხადა მმართველ საბჭოში საქმიანობაში მონაწილეობის მიღებაზე და დარჩა რიგით პოლიტსაბჭოს წევრად.

ამ ეტაპზე, მმართველი საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 8 წევრით: პეტრე ცისკარიშვილი, ირაკლი ფავლენიშვილი, ანი წითლიძე, გიორგი ჩალაძე, ლაშა ფარულავა, გიორგი გოტკოველი, მე, – განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

„რომე კაცი თავსა ივნებს“...

საქართველოს რესპუბლიკა

**აშშ-ის გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ (The New York Times)** 4 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ომი, რომელსაც მთელი მსოფლიოს შთანთქმა შეუძლია“**



(ავტორი – **დევიდ ფრენჩი**). პუბლიკაციაში გაანალიზებულია ირანთან ომის მიმდინარეობა: **„ვაშინგტონს იმედი ჰქონდა, რომ სწრაფად გაიმარჯვებდა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა: საბრძოლო მასალების რეზერვი კრიტიკულ დონეზეა, პენტაგონში კი სამომავლო ნაბიჯების მიმართ ერთიანობა არ არის. ომი ფართოვდება და მისი შედეგები თეთრ სახლზე სულ უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული“** – ნათქვამია მასალაში.

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**

The New York Times



## დევიდ ფრენჩი:

# ომი, რომელსაც მთელი მსოფლიოს შთანთქმა შეუძლია

**როგორც ტელეარხი „ენ-ბი-სი ნიუსი“ იუწყება, ამ ორიოდე დღის წინათ დონალდ ტრამპმა ირანთან ომის მიმდინარეობის გამო თავის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს და მრჩევლებს „გაცოცხვა“ მოუწყო. აღმოჩნდა, რომ მათ ერთი აზრი და პოზიცია არა აქვთ აშშ-ის შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით... მაგრამ განა ასე შეიძლება? ნუთუ მათ არ იციან, რომ გამარჯვებისკენ მიმავალი გზა აუცილებლად ესკალაციას გამოიწვევს, მაგრამ საბოლოოდ მაინც სტრატეგიულ მარცხად შეიძლება შემოგვიტრიალდეს.**

**სტრატეგიული მარცხი ყველაზე სავარაუდო პროგნოზს წარმოადგენს. პრეზიდენტმა გადაწყვიტა ისეთ ქვეყანასთან ომი დაეწყო, რომელიც გევრად ძლიერია სადამ ჰუსეინის დროინდელ ერაყზე (2003 წელს) და ამ დროს უფრო ნაკლებ ძალას იყენებს, ვიდრე ეს იყო ერაყის მთავრობის დამხობის დროს. დონალდ ტრამპს ირანის წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციების დაწყება არ სურს, როგორც ეს ერაყთან ომის დროს მოხდა – იცის, რომ მსხვერპლი მეტი იქნება.**

რის იმედი ჰქონდა და რას ელოდებოდა დონალდ ტრამპი, ირანთან ომში რომ ჩაება? ჰო, იგი, ალბათ, ვარაუდობდა, რომ მკაცრ და ღრმა ფესვების მქონე ავტორიტარულ რეჟიმს რამდენიმე ზუსტი ავიადარტყმით დაასუსტებდა, შემდეგ კი მოსახლეობა აჯანყებას დაიწყებდა... პრეზიდენტისავე არაერთგზის დამარწმუნებელი განცხადების თანახმად, იგი ელოდებოდა ვენესუელის სცენარის გამეორებას, მაგრამ როცა არ გაუმართლა და ამ დროს არც გეგმა „ბ“ არ ჰქონდა, მას მხოლოდ ისღა დარჩა, რომ დაბომბვები გაეგრძელებინა და ირანის „კაპიტულაციას“ დალოდებოდა...

**დონალდ ტრამპი ძალიან არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი პრეზიდენტია: დღეს ერთს ამბობს, ხვალ მეორეს, ზეგ კი ორივეს უარყოფს. რაში გამოიხატება მისი ლოგიკა, ვერ გაარკვევ. პარასკევს დონალდ ტრამპმა ავიადარტყმების ახალი სერია გამოაცხადა და თან თქვა, რომ ირანელები დარტყმებს ვერ გაუძლებენ და ერთ მშვენიერ დღეს დაგვნებდებიან“.**

შაბათს მან დაბომბვა გადაიფიქრა: **„ირანმა და სპარსეთის ყურის ქვეყნებმა გვთხოვეს, რომ შეტევისაგან თავი შეგვეკავებინა და მე, მშვიდობის სახელით, დავთანხმდი მათ თხოვნას. მე მინდა ირანი გადარჩეს და აყვავდეს. მე მჯერა რომ გარიგება ახლოსაა“.**

მაგრამ დღევანდელი პრობლემა რაღაც გარიგების ჩარჩოებს მიღმა გადის. ამერიკა ისე დიდი ხნის განმავლობაში ტკბებოდა თავისი ძლიერებით, რომ ჩვენ მოვლენების კონტროლს მივეჩვიეთ. გვჯეროდა, რომ ომს როცა გვინდა მაშინ დავიწყებდით და ისე დავამთავრებთ, როგორც მოვისურვებთ.

როცა მე ერაყში ვმსახურობდი, როგორი საშინელიც არ უნდა ყოფილიყო ომი, გვჯეროდა, რომ ის გარკვეულ ჩარჩოებში დარჩებოდა. ჩვენ ვებრძოდით მოწინააღმდეგეს, რომელსაც მინიმალური შესაძლებლობები ჰქონდა, ზიანი მიეყენებინა ამერიკელებისათვის ერაყის ფარგლებს გარეთ. ასეთივე სიტუაცია იყო ავღანეთში მას შემდეგ, როცა ჩვენ, მოკავშირეებთან ერთად, „ალ-ქაიდას“ საყრდენი პუნქტები გავანადგურეთ.

**ორივე კონფლიქტის დროს საომარი მოქმედებები სისხლიანი იყო. ჩვენ შეგვიძლია დიდხანს ვიდაოთ ორივე ომის დაწყების გონივრულობაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი მოკავშირეები ხშირად განზე იდგნენ და ბრძოლების სიმძიმე ძირითადად ამერიკელებზე გადადიოდა.**

უსაფრთხო ომები არ არსებობს – ნებისმიერი ომი შეიძლება კონტროლიდან გამოვიდეს, მაგრამ ბოლო დრომდე აშშ-ის ძლიერება, მოწინააღმდეგის სისუსტე და რუსეთ-ჩინეთის თავშეკავება ამერიკელებს მშვიდი ძილის გარანტიას აძლევდა. ისინი აცნობიერებდნენ, კატასტროფული ესკალაციის შანსები უკიდურესად უმნიშვნელო იყო.

ახლა კი ასე არ არის. პლანეტა მსოფლიო ომისაკენ დრეიფობს და მოვლენათა მსვლელობას არავინ არ აკონტროლებს, აშშ-ის პრეზიდენტის ჩათვლით.

**განვიხილოთ მიმდინარე მოვლენები: ირანი არამარტო აგრძელებს ეფექტურ დარტყმებს აშშ-ის ბაზების წინააღმდეგ, არამედ ხშირად უტევს ვაშინგტონის პარტნიორებს მთელ რეგიონში. სპარსეთის ყურის ქვეყნების ნავთობ-გაზის ინფრასტრუქტურა კოლოსალურად დაზარალდა და თუ ამას ჰორმუზის სრუტის ბლოკირებასაც დავამატებთ, მსოფლიოს ეკონომიკა სერიოზული საფრთხე-მუქარის წინაშე დგას.**

ირანის მხარეზე ბრძოლაში იემენელი ჰუსიტებიც ჩაერთვნენ, ანუ საომარი მოქმედებების არეალი სპარსეთის ყურიდან სამხრეთით, წითელი ზღვის აკვატორიაზეც გავრცელდა. თავის მხრივ, საუდის არაბეთი გეგმავს იემენელ ჰუსიტებს შეუტიოს, რაც მსოფლიოს ენერგეტიკულ რეგიონში სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებს.

**უკრაინამ კასპიის ზღვაში მცურავ ირანის გემს დაარტყა – დიდ დახურულ წყალსატევში, რომელიც სხვადასხვა ომის მონაწილე მხარეებს რუსეთს და ირანს ერთმანეთთან აკავშირებს. რუსეთი და ჩინეთი, სხვადასხვა მონაცემებით, აშშ-სთან ომის მდგომარეობაში მყოფ ირანს ეხმარებიან – აწვდიან კოსმოსური თანამგზავრებიდან მიღებულ სადაზვერვო მონაცემებს, რომლებიც ბალისტიკური რაკეტებისა და დრონების შეტევების ეფექტურობას მატებს. გარდა ამისა, რიგი ინფორმაციით, პეკინი თეირანს საზენიტო რაკეტებსაც უგზავნის.**

იხ. 5 გვ.

## აშშ-ის საელჩოს სპეციალური განცხადება

**სავიზო დეპოზიტის პროგრამა მუდმივი გახდა ყველა ქვეყანაში, სადაც მოქმედებდა, მათ შორის საქართველოშიც,** „ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში აშშ-ის საელჩო ავრცელებს.

საელჩოს ცნობით, საქართველოს მოქალაქე ყველა აპლიკანტმა, რომელსაც **B1/B2** ვიზა დაუმტკიცდება, უნდა გადაიხადოს **$10,000, $15,000 ან $20,000** ოდენობის დეპოზიტი.

**„არ გადაიხადოთ დეპოზიტი წინასწარ. გასაუბრების დროს, საკონსულო ოფიცერი მოგცემთ ინსტრუქციას დეპოზიტის გადახდასთან დაკავშირებით. გთხოვთ, გახსოვდეთ: სავიზო აპლიკაციების შესახებ ოფიციალური წყარო არის აშშ-ის მთავრობა. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ ვრცელდება აშშ-ის მთავრობის წყაროდან, საჭიროებს გადამოწმებას“,** „ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



## პუბლიცისტური სჯანი



სათაურის წაკითხვის შემდეგ ვინმეს ხუმრობის ხასიათზე რომ არ ვეგონო, ღვთივკურთხეულ საქართველოში (და დანარჩენ მსოფლიოში) უკვე მრავალი საუკუნეა ერთი ძალიან ნაცნობი, ძალიან პოპულარული და ძალიან საშიში ტერმინის განმარტებით დავიწყებ.

ღალატი (ებრ. בגידה; ინგლ. Treason; რუს. Предательство) – გამცემლობა, ვერაგობა, დაგმობა, უარყოფა; სარგებლის მიღების მიზნით, ვინმეს ან რაიმეს საზიანოდ შეგნებულად ჩადენილი გოროტება, ორგულობა, მეგობრის (ახლობლის) სხვაზე გაცვლა.

**ჩვენს ორმოცი წლის წინათ იმქვეყნად გადაბარგებულ ადამიანს: „ფოტოზე ხედავთ საბჭოთა ორდენებით ჩამოხუნძლულ მწერალს – კოსტანტინე ლორთქიფანიძეს (1905-1986). ეს კაცი მთელი არსებით ჩადგა სისხლიანი ტირანების სამსახურში და განცხრომაში იცხოვრა... კარგი პროზაიკოსი იყო. შესანიშნავად თარგმნა ტაკუბოკუს მინიმალისტური პოეზია. 1937 წელს, როდესაც პაოლოს ცხედარი უნახავთ მწერალთა სახლის აივანზე, კ. ლორთქიფანიძეს მიუფურთხებია.“**

საერთოდ, საბჭოთა ეპოქაში „განცხრომით მცხოვრები“ მწერლის არსებობაზე რა გითხრათ, მაგრამ „პოეზიარი“ არაფერს ამბობს იმ ფაქტზე, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძე 1941-1945 წლებში სამხედრო... ეზე, კოლექტიური მეურნეობის განუმეორებლობაზე წერდა. მაშინ, მოდი, ისიც გადავწყვიტოთ, იყო თუ არა „სამშობლოს მოღალატე“ საბჭოთა ეპოქაში უპოპულარესი რომანის, „ვაზის ყვავილობის“, იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) ბავშვობისადმი მიძღვნილი რომანის, „ბელადის“, ავტორი კონსტანტინე გამსახურდია!

არ ვიცი, რა ვთქვა „გმირ“ მწერალ გრიგოლ რობაქიძეზე, საქართველოდან გერმანიაში რომ გაიქცა და დითირამბებით სავსე ნაშრომი უძღვნა... ადოლფ ჰიტლერს!

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „პოეზიარი“ შესაბამისი კომენტარებით კიდევ ერთხელ აფრიალებს „ზვიადის მოღალატე ქართველი მწერლების“ უკვე მრავალჯერ გამოქვეყნებულ სიას რუბრიკით „სამარცხვინო ბოძი“. მათი მოღალატეობის ერთადერთი დასტური, თურმე, არის ის ფაქტი, რომ მხარი არ დაუჭირეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას. ამ მწერლე-

# „ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა“

## ლიტერატურული რატიანიზმი თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში

**ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ მაინც, უხსოვარი დროიდან დღემდე ღალატის, შესაბამისად, მოღალატის (ღალატის ჩამდენის) ცნება მაინც უმწვავესი კამათისა და დაპირისპირების საგანია. შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც მშობელი ქვეყნის უახლოესი ისტორია გავიხსენოთ – იყო თუ არა სინამდვილეში სამშობლოს მოღალატე საბჭოთა პერიოდში ამ უმძიმესი და დამამცირებელი ბრალდებით გასამართლებული ათი ათასობით ადამიანი? – იმჟამინდელი ქართული სასამართლოს, ხელისუფლებისა და მისი ალალი მომხრეების აზრით – დიახაც იყო. დღევანდელი გადასახედიდან – არ ყოფილა არავითარი ღალატი, ეს იყო სასტიკი, დამთრგუნველი ანგარიშსწორება ხელისუფლების (უფრო ზუსტად – ძალაუფლების) შენარჩუნების, პოლიტიკური ოპონენტების დათრგუნვა-დაშინების მიზნით. სხვათა შორის, დიდი ალბათობით – გარედან დაფინანსებული. მოკლედ, ეს იყო პოლიტიკური რეპრესია.**

სამართლიანობისთვის ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ ამგვარი რეპრესია არ ყოფილა მხოლოდ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ გამონაგონი და მხოლოდ მისი დამსახურება – ისტორიის განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, ეს გახლავთ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა რევოლუციური ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი ქმედება, რევოლუციის გარდუვალი შედეგი: როცა ხელისუფლებას, ქვეყნის მმართველ სისტემას არ შეუძლია თავის სიმართლეში, თავის უპირატესობაში სიტყვით და საქმით დაარწმუნოს თავისივე ქვეყნის მოქალაქე, იგი იძულებულია მიმართოს რეპრესიებს – თავის მართლების მიზნით, მოღალატედ გამოაცხადოს უკლებლივ ყველა, ვინც ეწინააღმდეგება, ან არ ეთანხმება მის პოლიტიკას.

მოკლედ, ჩემი ფიქრით, „მოღალატეობის“ დაბრალება (ნებისმიერი, თუნდაც, გიჟური არგუმენტის მოშველიებით) არის უტყუარი საშუალება პოლიტიკური ოპონენტის „გასაშავებლად“ და თუ ამის ძალაც შეგწევს – მის თავიდან მოსაშორებლად.

**ვიცი, ბევრი თანამედროვე „პოლიტიკოსი“ გამკიცხავს და შემაჩვენებს, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას.**

დღეს, ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევარში, ჩვენი თანამედროვე, ჩვენზე (საქართველოს მოქალაქეებზე) მზრუნველი ბევრი პოლიტიკოსი „მოღალატის“ იარლიყით ამკობს... უბრალოდ, მისგან განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებს. იმედია, დამეთანხმებით, რომ ეს ქუჩებში ევროკავშირის დროშებით უაზროდ მორბენალი „გოგოშკების“ ბილწსიტყვაობაზე, ან თუნდაც კოლეგა პარლამენტარისთვის მიპარვით თავში მუშტის ჩარტყმაზეც განუზომლად მძიმე შეურაცხყოფაა.

მეტიც. სოციალური ქსელები (დღევანდელ საქართველოში და დანარჩენ მსოფლიოში ინფორმაციის უმთავრესი წყარო სწორედ ისაა!), სტალინს და ბერიას რომ თავი დავანებოთ, გადაჭედილია კარგა ხნის წინათ გარდაცვლილი ქართველი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების „მოღალატური საქმიანობების“ გახსენებით. დღევანდელ ახალგაზრდობას ჯიუტად ჩასჩიჩინებენ, რომ ბესარიონ ჟღენტი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, აკაკი




ბაქრაძე, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი და მრავალი სხვა  იყვნენ მოღალატე ფარისევლები, რადგან, თურმე, ისინი „ემსახურებოდნენ კრემლს“.

ამ ბოლო დროს ახალგაზრდობის „ინფორმირების“, უფრო ზუსტად, ტვინის მოწამვლის ვნებიანი და დაუოკებელი სურვილით აშკარად გამოირჩევა „პოეზიარი-მხატვართა წარმოჩენა“. ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვიცი, ვინმე კერძო პირია, საჯარო ორგანიზაციაა თუ საიდუმლო სექტა.

**ასეა თუ ისე, ჩირგვებში კარგად შენიღბული მრისხანე „პოეზიარი“, მაგალითად, ასე წარმოგვი-**

თქიფანიძე 1941-1945 წლებში სამხედრო კორესპონდენტის რანგში იმყოფებოდა ფრონტის ხაზზე და იმჟამინდელ ქართულ მედიას აწვდიდა სტატიებს. მისი ბევრი ორდენი და მედალიც სწორედ ამას უკავშირდება.

რაც მთავარია, დღევანდელ ქართველ ახალგაზრდობაზე მზრუნველი მამაცი საიდუმლო ინფორმატორი ლორთქიფანიძისა და სხვათა ბინძური დახასიათებისას არ ითვალისწინებს უმთავრესს – მმართველობის საბჭოთა სისტემის სისასტიკეს.

რამდენიმე წუთით დავეთანხმოთ „პოეზიარს“, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძე მართლაც იყო ქვეყნის მოღალატე, ვინაიდან იგი საბჭოთა მმართველობის სიკეთე-

ბის აბსოლუტური უმრავლესობა დღეს ცოცხალი აღარ არის. თანაც, „პოეზიარის“ მაქებარ-მადიდებლების აზრით, მოღალატეობის სტატუსს იმსახურებს უკლებლივ ყველა (ბუნებრივია, მათ შორის მე და ჩემისთანებიც), ვინც ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების პოლიტიკას არ ეთანხმებოდა. ხაზს ვუსვამ – იარაღით ხელში კი არ ებრძოდა, არამედ, არ ეთანხმებოდა! ამიტომაც, და კიდევ სხვა მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, „სიის“ პესონალურ შემადგენლობას აღარ გავიმეორებ.

ვწუხვარ, მაგრამ უნდა გავიმეორო „პოეზიარის“ აშკარად მუქარით აღსავსე სტატუსი პროფესორ აკაკი ბაქრაძეზე:

**„აკაკი ბაქრაძე იყო დიდი მოაზროვნე, მან უღალატა ეროვნულ ხელისუფლებას და კრემლის სამსახურში ჩადგა. თუ აქ გამოჩნდება ვინმე ისეთი ვიგინდარა, ვინც შეეცდება ნაცარი შეაყაროს ხალხს თვალებში, მას სათანადო პასუხს გავცემ.“**

ძალიან მეშინია, მაგრამ შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ ამ სტატუსის ავტორი (და მისი მომწონებელი) გახლავთ სამარცხვინოდ უვიცი ვიგინდარა – როგორ უნდა ეღალატა აკაკი ბაქრაძეს ეროვნული ხელისუფლებისთვის, როცა იგი არასდროს ყოფილა ეროვნული ხელისუფლების წევრი ან მხარდამჭერი! ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლებისთვის შეეძლოთ ეღალატათ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წევრებს და მათ მხარდამჭერებს. და ისინი ასეც მოიქცნენ კიდეც!

ახლა, ბოდიშის მოხდით, ავტორთა ვინაობის მიუთითებლად შემოგთავაზებთ რამდენიმე მოკლე კომენტარს, რომელიც ახლავს „პოეზიარის“ მიერ გამოჩხრეკილ „სიას“ და ნოდარ დუმბაძის საკმაოდ ბანალურ საახალწლო მილოცვას ედუარდ შევარდნაძისადმი:

„კარგია, რომ მსგავს რაღაცებს აქვეყნებთ! საერთოდ ვიღაცის გაფეტიშება და ნაკარნახევი სიყვარული ავადმყოფობაა. ეს ბრბოს ეფექტია... ნახევარზე მეტს წაკითხული არ აქვს! ვითომ საქართველოს, ქრისტიანულ რელიგიას, ღირსებას, ტრადიციებს იცავენ და თავად უმსგავსობებს ჩადიან!“

„მერე რა გიკვირთ, ზუსტად ეგ არის ფსევდო პატრიოტების პატრიოტიზმი.

რუსეთია მაგათი სამშობლო, რუსია ტიტულოვანი ერი, KGB-ს აგენტები – წმინდანები.

შეეშვით მორალური უპირატესობის მოპოვების მცდელობას ბიდლოზე, მაგათ საკუთარი პატრონის მსგავსად მხოლოდ ძალადობის ენა ესმით.“

„ახალგაზრდებო, იცოდეთ სიმართლე, საუბედუროდ, ისინი ებრძოდნენ საქართველოს თავისუფლების იდეას და მის ლიდერს – ზვიად გამსახურდიას“

„დიახ, ასე იყო, მათ გაამართლეს საკუთარი ქმედება და როლი მტრის მხარის ერთგულებისა. ისინი საქართველოს ებრძოდნენ, მაგრამ ქართველი მწერლები ერქვათ. აი, რასთან უხდებოდა ბრძოლა ზვიადს.“

„ნოდარ დუმბაძე იყო ერთი ბანალური კონფორმისტი...“

სამაგიეროდ, თურმე „დიდი ქართველი პოეტი“ ყოფილა ვინმე **ზვიად რატიანი,** რომელიც ბოროტი ხულიგნობისა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობისთვის გაასამართლეს და ამჟამად სასჯელს იხდის. აქვე გულწრფელად მოვუბოდიშებ ბატონ ზვიადს და მის ოჯახს, მაგრამ მე ვწერ არა მის დამნაშავეობა-უდანაშაულობაზე ან პოლიტიკურ შეხედულებებზე, არამედ ზოგიერთი ძალად ლიტერატორი „პოლიტიკოსის“ უმწეო მცდელობაზე ამ გულუბრყვილო პოეტის გასაფეტიშებლად:

**„ჩავა წლები და თინა რუხაძეს აუცილებლად გაიხსენებენ, როგორც კულტურის მინისტრს, რომლის დროსაც დიდ ქართველ პოეტს, ზვიად რატიანს ფიზიკურად გაუსწორდნენ და დააპატიმრეს“**

ამ პოეტის „დიდობასა და მიუწვდომლობაში“ დასარწმუნებლად შემოგთავაზებთ ორიოდე ამონარიდს მისი ლექსებიდან:

**„ესეც თქვენი უკეთესი მომავალი. ზუსტად ისეთი, როგორიც გვთხოვეთ. მცირედი დაგვიანებისთვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ გაგვიგეთ: მოთხოვნილება მაღალია, ყველა გვაჩქარებს. ეს მოხმარების წესებია. გადაიკითხეთ. საგარანტიო ფურცლის ასლი თქვენთან რჩება. აქ ხელს მოაწერთ. თითქოს მართლაც ისეთი ჩანს, როგორიც ვთხოვეთ, მაგრამ მაინც ეჭვიანად ვათვალიერებთ. შენ ქალი ხარ „მოხმარების ბუნდოვანი წესები გაფრთხილებს, მე „საგარანტიო ვადების სიმცირე. შენ ქალი ხარ „ფანჯრებს აღებ და მომავლის თვალისმომჭრელ შუქში ლივლივებ, მე კი ჯერაც კართან ვდგავარ და კურიერს დაბნეული ვართმევ ფურცელს, ერთხანს უაზროდ ვაკვირდები, ვითომ ვკითხულობ, და ხელს ვაწერ მითითებულ სვეტში: მაპატიეთ“**

კიდევ ერთხელ გავიმეორებ – „რატიანისტების“ ყოვლად ფარისევლური აზრით, ეს არის ლექსი, თანაც – შესანიშნავი და დიდებული!

ახლა ვნახოთ მცირე ამონარიდი პოეტის ერთი რითმიანი ლექსიდან (წარმოიდგინეთ, შიგადაშიგ ბატონი ზვიადი ასეთებსაც წერს!):

**„..ისინი მოკვდნენ.**
**საზეიმოდ. თითქოს ელოდნენ**
**და ბოლოს მისცეს**
**უხილავი ჩვენთვის ნიშანი –**
**უცებ იფეთქეს და აალდნენ,**
**ჩვენ კი ვმღეროდით.**
**ბოლოს გავხვეტეთ მათი**
**ფერფლი, და დავიშალეთ...“**

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ, „კანეშნა“, გოგლას „ყივჩაღის პაემანი“ არარაობად მოგეჩვენებათ. და რა გასაკვირია, რომ მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე ხატია დეკანოიძე მას „დიდებულს“, ხოლო თვით ლაშა ბუღაძე – „შედევრს“ უწოდებს. დიახ, სწორედ ის „დიდი ლაშა“, რვაასი წლის წინათ გარდაცვლილი ჩვენი სასიქადულო მეფის, თამარის საწოლში შეძრომა და მისი ბნელი სექსუალური საიდუმლოებების სამზეოზე გამოტანა რომ მოახერხა!

კიდევ ერთხელ გავიმეორებ უკვე მრავალგზის ნათქვამ ანბანურ ჭეშმარიტებას: ცნობილი და პოპულარული ქართველი ისტორიული პირების, მეფეების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, პოეტების, საერთოდ, ღირსეული მამულიშვილების თავზეხელაღებული ლანძღვაგინება ერთადერთ ბინძურ მიზანს, ახალგაზრდების ტვინის გამორეცხვას ემსახურება; მათ დარწმუნებას, რომ არც ისტორიაში და არც თანამედროვეობაში ავტორიტეტების არსებობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; რომ დავით გურამიშვილსა და ზვიად რატიანს, დავით აღმაშენებელსა და მიშა სააკაშვილს, თამარ მეფესა და ელენე ხოშტარიას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს; ამიტომ არ წაიკითხოთ წიგნები, მიაფურთხეთ მეცნიერებას, დარჩით უვიცებად, ირბინეთ ქუჩებში, არ მოერიდოთ ბილწსიტყვაობას – პრესტიჟული ადგილები საზოგადოებაში და თანამდებობები სახელისუფლო სტრუქტურებში თქვენთვის უამისოდაც გარანტირებულია.

ამ ბილწი სიცრუის აქაური და უცხოელი ავტორები კი თვითონ ჩრდილში მიყუჟულან და უფსკრულში გადაჩეხვისთვის გამეტებულ ახალგაზრდებს ცინიკური ქირქილით შორიდან უყურებენ. ზვიად რატიანიც ერთ-ერთი ასეთი გამეტებულია.

ახლა შევეცდები, შეძლებისდაგვარად ვუპასუხო ყოვლისმცოდნე „პოეზიარის“ მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ზოგიერთ თავბრუდამხვევ (აბა, ავანტურისტულს-მეთქი, ხომ არ ვიტყვი!) კითხვას. თანაც, ცოტა გაგამხიარულოთ კიდეც:

**– რატომ არის, რომ დასავლეთ საქართველოში დაბადებული პოეტები, ადრეც და ახლაც, რიცხობრივად მეტნი და ბევრად ძლიერები იყვნენ, ვიდრე აღმოსავლეთში მცხოვრებნი ბოლო 200 წლის განმავლობაში?**

– დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტენიანობა უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთში. შესაბამისად, მაღალია მიდრეკილებაც ელარჯისა და პოეზიისადმი.

**– უმუზობას რითი შველით?**

– პირადად მე მუზებით განებივრებული არა ვარ, მაგრამ, აი, ჩემს მეზობელ ტახოს ცოლის საგინებლად მუზა რომ შემოელევა, მის საძებრად თოხით მხარზე ვენახში მიდის.

**– თქვენთვის მნიშვნელობა აქვს ტუალეტში დაიწერება ლექსი, ავტობუსში, საძინებელში თუ ლამაზ ბუნებაში?**

– რა თქმა უნდა, აქვს! როგორც დიდი ქართველი მწერალი და ყოვლისმცოდნე ბატონი ლაშა ბუღაძე ბრძანებს, ტუალეტში დაწერილ ლექსს სულ სხვა გემო და ლაზათი აქვს და სულ სხვა სურნელი ასდის!

**– რომელი უფრო გასაკიცხია, გათხოვილი პოეტი ქალის ღალატი, თუ ცოლიანი პოეტი კაცის ღალატი სხვა პოეტთან?**

– ვფიქრობ, თუ ის პოეტი ქალი ან მამაკაცი ამას პოეზიის სიყვარულით და მუზის კარნახით აკეთებს, მაშინ გასაკიცხი არც ერთია და არც მეორე – გალაკტიონი ხომ გახსოვთ: „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“

**– რა თემებზე უნდა წეროს ქალმა ლექსები?**

– თუ გასათხოვარია, აჯობებს, ფილოსოფიურ თემებზე წეროს, მაგალითად, ლიბერტარიანიზმზე, პოსტმოდერნიზმზე ან ფემინიზმზე. თუ გათხოვილია, ვფიქრობ, დედამთილური სასიყვარულო თემა მისი რძლური კარიერისთვის ზედგამოჭრილი იქნება.

დაბოლოს, „პოეზიარის“ კიდევ ერთი საკრამენტული შეკითხვა:

**– ვინმე დაიღალეთ სიცოცხლით და სანატრელი სიკვდილი დაგრჩათ?**

– სამწუხაროდ, ამ კითხვას ჩემს დაბადებამდე სულ რაღაც 400 წლით ადრე უკვე უპასუხა ჩვენმა უანგარო ინგლისელმა მეგობარმა უილიამ შექსპირმა. მეც მისი სიტყვების გამეორების მეტი აღარაფერი დამრჩენია:

**„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა... რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასოცნენ ლახვარს, რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად, რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა, რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა...“**



**თეიმურაზ ქორიძე**
03. 08. 2026



# ომი, რომელსაც მთელი მსოფლიოს შთანთქმა შეუძლია

(მესამე გვერდიდან) **და ეს ყველაფერი ხდება აშშ-სთვის ორი ძალზე არასასიამოვნო რეალიების ფონზე:**

**პირველი:** ირანმა აჩვენა, რომ აშშ-ის სამხედრო ბაზები ბევრად უფრო მოწყვლადები არიან შეტევის დროს, ვიდრე ვარაუდობდნენ. დღეს აშშ-ის სამხედრო ბაზები სპარსეთის ყურეში ისეთი დანგრეულნი არიან, რომ მე ერაყის ომში მონაწილეობის დროს ასეთ სურათს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. რა თქმა უნდა, ირანიც უდიდეს ზარალს განიცდის: უმაღლესი სამხედრო სარდლობის და ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების ლიკვიდაციის გარდა, თეირანის არმია და „გუშაგთა კორპუსი“ კარგავს მოსახლეობას და რიგით სამხედრო პერსონალსაც, მაგრამ აშშ-სგან განსხვავებით, ირანი ცოცხალი ძალის დანაკარგებს ყურადღებას არ აქცევს. ირანის სამთავრობო-რელიგიური გასამხედროებული ორგანიზაციები და დაჯგუფებები მზად არიან „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“ იბრძოლონ. (...)

**მეორე:** ჩვენი სამხედრო არსენალი (მაგალითად, „პეტრიოტების“ და „ტომაჰავკების“ რაკეტები) კატასტროფულად მცირდება. ამ ზეთანამედროვე ურთულესი იარაღის მარაგების შევსებას დრო ჭირდება, ამერიკული სამხედრო კომპანიები კი ვერ ასწრებენ. მე სულაც არ მინდა, რომ ჩვენი ნატოელი რომელიმე მოკავშირის ტერიტორია ირანის სარაკეტო შეტევის სამიზნე აღმოჩნდეს, მაგრამ თუ ერთი ირანული რაკეტაც კი გაარღვევს ნატოს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემას, ეს უკვე ჩვენს მინი-დამარცხებას ნიშნავს. როცა ყოველდღიურად ხარჯავ რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების მქონე ათეულობით რაკეტას რამდენიმე ათასდოლარიანი ღირებულების მქონე ირანული დრონების წინააღმდეგ, ალბათ, ყველა მიხვდება, რომ აშშ-ის თავდაცვის დონის დასუსტება მხოლოდ დროის საკითხია. (...)

შევკრიბოთ ერთად ყველაფერი: აშშ-ის თავდაპირველი სტრატეგია ჩაიშალა, ირანთან ომი თანდათან მთლიან რეგიონს ნთქავს. ირანი და უკრაინა შეიძლება პირდაპირ კონფრონტაციაში ჩაერთვნენ; რუსეთმა და ჩინეთმა (ჩრდილოეთ კორეასთან ერთად) შეიძლება სამხედრო ალიანსი შექმნან; პენტაგონს იარაღის დეფიციტის საფრთხე ემუქრება; დონალდ ტრამპმა აღარ იცის, როგორ მოიქცეს.

**ჩემს თავს ხშირად ვუსვამ ხოლმე კითხვებს – როგორ სიტუაციაში ვიქნებოდი, პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს – 1914 წლის ზაფხულში რომ მეცხოვრა, არაფერი რომ არ ვთქვა 1939 წელზე. რომელ მომენტში გრძნობენ ხოლმე ადამიანები, რომ მსოფლიო კატასტროფის წინაშე იმყოფებიან? თუ ამაზე ძალიან ადრე და ხშირად ილაპარაკებ, სულელად ჩაგთვლიან, თუ გვიან იტყვი, მწარე გრძნობით იცხოვრებ, რატომ ადრე არ ვთქვიო (თუ ცოცხალი დარჩები).**

**მე წინასწარმეტყველი არ ვარ, მაგრამ დეესკალაციის იმედი მაინც მაქვს. ვფიქრობ, რომ აშშ-ისა და ჩვენი მოკავშირეების მთავრობებში (საერთოდ, მსოფლიოში) ჯერ კიდევ არიან სერიოზული და საღად მოაზროვნე ადამიანები. (...)**

ხშირად ამბობენ, რომ რიგით ამერიკელ ამომრჩეველს საგარეო პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებს. მთლიანობაში ეს ასეც არის – სანამ კატასტროფა არ მოხდება. და როცა მოხდება, საგარეო პოლიტიკა ერთადერთი სფეროა, რომელსაც ნამდვილად ეძლევა სტრატეგიული მნიშვნელობა და ყველა ძალიან ინტერესდება.

**ჩვენი მომავალი შეიძლება მართლაც არის დამოკიდებული ამერიკელ ამომრჩეველზე, რომელიც შეძლებს და შუალედური არჩევნებით კონგრესს გაბედულებას დაუბრუნებს – იმ კონგრესს, რომელიც დღეს დონალდ ტრამპის ნებას ასრულებს. მაგრამ ამისათვის ჩვენ უნდა შევძლოთ ის, რის შეძლებაც ძალიან რთულია (ისტორიაში მსგავსი მაგალითებია ძნელად მოიძებნება) – კერძოდ ის, რომ დავინახოთ მოახლოებული კატასტროფა და გადამწყვეტად ვიმოქმედოთ წინასწარ, სანამ საშინელი ომი მსოფლიოს არ შთანთქავს.**



თარგმნა **სიმონ კილაძემ.**

**შევკრიბოთ ერთად ყველაფერი: აშშ-ის თავდაპირველი სტრატეგია ჩაიშალა. ირანთან ომი თანდათან მთლიან რეგიონს ნთქავს. ირანი და უკრაინა შეიძლება პირდაპირ კონფრონტაციაში ჩაერთვნენ; რუსეთმა და ჩინეთმა (ჩრდილოეთ კორეასთან ერთად) შეიძლება სამხედრო ალიანსი შექმნან; პენტაგონს იარაღის დეფიციტის საფრთხე ემუქრება; დონალდ ტრამპმა აღარ იცის, როგორ მოიქცეს.**

**მსოფლიოში მრავალი გატაცებისა და საინტერესო იდეების ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ კაცი, რომელიც ჩვენს სავარდო და სამაისო ქუთაისს წარმოადგენს, თავისი მისწრაფებებითა და შეუპოვრობით მართლაც ყველასაგან გამორჩეულია. ეს გახლავთ მშვიდობისა და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბის „LLL“-ის (Land, Life, Love — დედამიწა, სიცოცხლე, სიყვარული) პრეზიდენტი, ბატონი ბესიკ ადამია, კაცი, რომელსაც „მაღვიძარა ქუთაისიდან“ შეარქვეს. დიახ, იგი მსოფლიო მოსახლეობას აღვიძებს იმ აპათიური ძილისა და უმოქმედობისაგან, რომელიც დღევანდელ მსოფლიოს მოსდებია, აღვიძებს რათა ხმა აღიმაღლონ ომისა და უბედურების წინააღმდეგ, აღვიძებს რათა ქვეყნად მშვიდობამ, სიყვარულმა დაისადგუროს.**




**უნიკალური „სამშვიდობო ჰალსტუხი“ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს გადაეცა!**

# ჰალსტუხი, რომლის ჭამაც აკრძალულია!!!

## ქუთაისელი მშვიდობისმყოფელის მსოფლიო იდეა

**ჩვენი გაზეთის მკითხველებმა, ჯერ კიდევ ათი წლის წინ გაიცნეს ბატონი ბესიკი თავისი ორიგინალური, მეტად საინტერესო იდეით. კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2016 წლის 8 მარტს (ს. რ. N43. სამშაბათი, 2016 წ. 8 მარტი) დაიბეჭდა მისი მიმართვა თბილისის მთავრობისა და დედაქალაქის მერის მიმართ. მიმართვაში, იდეის ავტორი ითხოვდა დედაქალაქის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის ობელისკის ირგვლივ, არსებულ წრეზე მსოფლიოს მრავალ ენაზე სიტყვა „თავისუფლების“ დაწერას. ეს იქნებოდა დასტური იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა პატივს სცემდა მსოფლიოში თავისუფლებისთვის მებრძოლ ყველა ერს!**

ამასთან, იგი თხოვნით მიმართავდა ამერიკის ადმინისტრაციას და მის საელჩოს საქართველოში, მხარი დაეჭირათ, ნიუ-იორკში თავისუფლების ქანდაკებასთან 4 ივლისს უზრუნველეყოთ კავკასიელთა ჩაყვანა (ამ დღეს სრულდებოდა 240 დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებიდან და 130 წელი თავისუფლების ქანდაკების აღმართვიდან).

მესამე მოთხოვნა გახლდათ ის, რომ პარიზის „მშვიდობის კედელზე“ 49 ენის გვერდით ქართულ, აზერბაიჯანულ და კავკასიურ ენებზე დატანილიყო სიტყვა „მშვიდობა“ (სომხურ ენაზე ასეთი წარწერა ზემოთხსენებულ კედელზე უკვე არსებობდა). ბატონი ბესიკი ოთხჯერ ეწვია ამ იდეის განსახორციელებლად პარიზს, თანხმობა და დასტური მიიღო მონუმენტის ავტორის, ქალბატონ კლარა ჰალტერის მხრიდანაც, ერთი პირობით, რომ მონუმენტი, რომელიც ეიფელის კოშკის წინ მდებარეობდა, საჭიროებდა სპეციალურ თანხას 75 ათას ევროს ოდენობით, რათა ეს წარწერა განთავსებულიყო.

ყოველივე ეს დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, უფრო მეტიც 2000 წელს პარიზში აღმართული „მშვიდობის კედელი“ 2020 წელს აიღეს, რათა შესაბამისი ადგილი მოეძებნათ მისი გადატანისთვის ელისეის მინდვრიდან. ევროპაში „მშვიდობასა“ და „თავისუფლებას“ ფასი აღარ აქვს.

სამაგიეროდ, ქუთაისელმა „მაღვიძარამ“ ახალი იდეით გააღვიძა მსოფლიო. მან მშობლიურ ქალაქში, რამაზ შენგელიას სახელობის „ტორპედოს“ სტადიონის მიმდებარედ აღმართა 2,5 მეტრი დიამეტრის ორიგინალური ბურთი, რომელზეც სიტყვა „მშვიდობა“ მსოფლიოს 67 ენაზეა ამოტვიფრული („პარიზულ მშვიდობას“ 28 სიტყვით სჯობნის) და ამით ჩვენი მონუმენტი მსოფლიო რეკორდსმენი გახდა. ასეთი ლინგვისტური სიმდიდრით პარიზის აწ უკვე დემონტირებული კედელი ვერ დაიტრაბახებდა.




**ქუთაისში, „ტორპედოს“ სტადიონის მიმდებარედ აღმართული „მშვიდობის ბურთი“**

ბესიკ ადამიას იდეები მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება — „მსოფლიოს ადამიანმა“ თავის ორიგინალურ იდეებს კიდევ ერთი საოცრება შემატა, რომელიც საჩუქრად ჩვენი გაზეთის მთავარ რედაქტორსაც ერგო, ეს გახლავთ „მშვიდობის ჰალსტუხი“, რომელიც მხოლოდ მსოფლიოს რჩეული ადამიანების მკერდს დაამშვენებს. ამ ორიგინალურ ჰალსტუხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 6 ოფიციალურ ენაზე (ინგლისურად, რუსულად, ჩინურად, ფრანგულად, ესპანურად და არაბულად) წარწერილია სიტყვა „მშვიდობა“, ამ ოფიციალური ენების ქვემოთ ორიგინალურადაა გამოყვანილი იგივე სიტყვა ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

აღსანიშნავია, რომ ეს უნიკალური საჩუქარი უცხოეთში საჩუქრად მიიღეს მსოფლიოს ცნობილმა პოლიტიკოსებმა და საჩუქრის ავტორმა მათგან მადლობის წერილებიც უკვე ჩაიბარა. სამადლობელი სიტყვები არ დაიშურეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის კანცლერმა, საფრანგეთის, შვეიცარიისა და ბელორუსის პრეზიდენტებმა, ნორვეგიის, დანიისა და შვეციის სამეფო ოჯახის წევრებმა. მათ არც ქართველები ჩამორჩნენ, საქართველოს პარლამენტის წევრის **გიორგი ვოლსკისა** და ქუთაისის მერის **დავით ერემაშვილის** მადლობის წერილებიც შეემატა ბატონი ბესიკის სამადლობელი ბარათების რიგს.

მშვიდობის მთესველისა და „ქუთაისელი მაღვიძარას“ გეგმაშია ასეთივე ჰალსტუხით დაასაჩუქროს ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკის პრეზიდენტები და მათ შორის მისი ძველი მეგობარი, ინგუშეთის ყოფილი ლიდერი რუსლან აუშევი. „ჰალსტუხის“ მფლობელი გახდება ალუ გამახარია, კაცი, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილია როგორც მშვიდობისმყოფელი და სხვადასხვა პროექტების ინიციატორი. „მშვიდობის ჰალსტუხი“ გაეგზავნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, ნიშნად იმისა, რომ დროზე შეწყდეს ძმათამკვლელი ომი უკრაინაში, გაფრთხილებად იმისა, რომ ეს ომი შესაძლოა, სულ მალე მსოფლიო ომად გადაიქცეს. სახალხო დიპლომატიის ფარგლებში ბესიკ ადამია თავად იმყოფებოდა მოსკოვში და საჩუქარი პრეზიდენტის მისაღებში დატოვა. საჩუქრის მიღებისა და მზადყოფნისთვის, რომ იგი ადრესატს გადაეცეს, ბესიკ ადამიამ 2026 წლის 4 ივნისს მიიღო რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციის მრჩევლის ნ. რეზნიკის ხელმოწერილი პასუხი.

Accusé de réception de votre lettre et de votre initiative pour la paix

Monsieur Besiki Adamia,

Nous accusons réception de votre lettre et de votre aimable proposition de partager votre initiative « Le Lien de la Paix » avec nous. Nous vous remercions sincèrement pour cette délicate attention.

Nous apprécions le dévouement et la créativité dont vous faites preuve pour promouvoir les valeurs essentielles de paix, d'amitié et de compréhension entre les nations. Vos efforts pour utiliser l'art et des projets symboliques afin d'encourager le dialogue et l'harmonie sont particulièrement appréciés.

Veuillez accepter nos remerciements pour votre aimable geste et pour nous avoir considérés comme bénéficiaires de votre travail. Bien que nous ne puissions pas soutenir des projets ou initiatives individuels, nous apprécions l'esprit positif qui anime votre contribution et votre engagement à diffuser un message de paix.

Nous vous souhaitons plein succès dans votre travail et vous remercions encore de nous avoir fait part de votre vision.

Cordialement, Communications GS-EAER Département fédéral de l'économie, Éducation et recherche EAER Secrétariat général GS-EAER ( Suisse – Switzerland ).

### მადლობა თქვენი წერილისა და სამშვიდობო ინიციატივის შესახებ

ძვირფასო ბატონო ბესიკ ადამია,

ამით ვადასტურებთ თქვენი წერილის მიღებას და თქვენი კეთილი შემოთავაზების გაზიარებას თქვენი მშვიდობის ჰალსტუხის ინიციატივის შესახებ. გვსურს გულწრფელად, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი გააზრებული ჟესტისთვის. ჩვენ ვაფასებთ თქვენს მიერ გამოვლენილ თავდადებასა და კრეატიულობას ერებს შორის მშვიდობის, მეგობრობისა და გაგების მნიშვნელოვანი ღირებულებების პოპულარიზაციის საქმეში.

კომუნიკაციები GS-EAER, ეკონომიკური საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი, განათლება და კვლევა EAER, გენერალური სამდივნო GS-EAER (შვეიცარია)

**იმედია, მშვიდობისა და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბის პრეზიდენტის ეს ორიგინალური საჩუქარი დროზე გამოაფხიზლებს მსოფლიო ლიდერებს, დაიწყებენ ბრძოლას მშვიდობისთვის და არა ომისთვის... ომში ჩათრეულ და წაგებულ ლიდერებს კი ჰალსტუხების ღეჭვა რომ სჩვევიათ, ეს არ ახალია და ამის მწარე მაგალითიც, რომ ვიწვნიეთ, ეს მთელმა მსოფლიომ ნახა.**

**ღმერთმა ხელი მოუმართოს ბატონ ბესიკს და ყველა მშვიდობისმყოფელს.**

**მამუკა ვაშაკიძე**

# ლონდონში 1871 წლის შემდეგ პირველად მთელი თვე არ უწვიმია!

**ივლისში ქიუს სამეფო ბოტანიკურ ბაღში მდებარე მეტეოროლოგიურმა სადგურმა წვიმა საერთოდ ვერ დააფიქსირა.**

ქალაქის ზოგიერთ რაიონში ივლისში ხანმოკლე წვიმა მაინც იყო. **„თუმცა საერთო სურათი ნათელია. ჩვენ ვუახლოვდებით მომენტს, როდესაც დედაქალაქს წლის დიდ მონაკვეთებთან გამკლავება წვიმის არც ერთი წვეთის გარეშე მოუწევს, ლონდონი კი ასეთი სიტუაციისთვის გათვლილი არ ყოფილა“** — წერს გამოცემა London Centricამასთან, სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ უახლოეს კვირებში უხვი და ხანგრძლივი წვიმების ნიშნებს ვერ ხედავენ.



**სიცხე და ნალექის ნაკლებობა თითქმის მთელს ევროპაში შეინიშნება. ნიდერლანდებში გვალვის გამო არხები გადაკეტეს. ევროკავშირის უდიდეს მდინარეში — დუნაიში წყლის დონემ კრიტიკულად დაბალ ნიშნულამდე დაიწია, რის გამოც უნგრეთში, „პაკშის“ ატომურ ელექტროსადგურზე, რამდენიმე ენერგობლოკის მუშაობა შეჩერდა. მოლდოვაში დნესტრის დაშრობის გამო სასმელი წყლის მოხმარება შეზღუდეს.**

## აქაც პრობლემები!..

# კუთვნილი შვებულებიდან სახლში



## ვის გაიყოლებს ვანო ზარდიაშვილი?!

**ხელისუფლების მიერ დაანონსებული სტრუქტურული ცვლილებების პარალელურად, საკადრო ცვლილებები იწყება. არსებული ინფორმაციით, ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნება შემოდგომა, როდესაც საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში დიდი საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი. თანამდებობა უკვე დატოვა კუთვნილ შვებულებაზე გასულმა ვანო ზარდიაშვილმა.**

„სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მრჩეველთა საბჭოს წევრი **გიორგი აბრამიშვილი** აცხადებს, რომ გენერალური დირექტორი საკუთარი სურვილით გადადგა. ახლა კუთვნილ შვებულებაშია და შვებულების დასრულების შემდეგ თანამდებობაზე არ დაბრუნდება. აცხადებს, რომ მისი წასვლა სემეკ-ის განცხადებას არ უკავშირდება და ხაზების პრობლემები ერთი პირის ბრალი ვერ გახდება.

**„შვებულებაშია ახლა და მერე წავა. არ მგონია, მისი წასვლა სემეკ-ს უკავშირდებოდეს. სემეკ-ის დასკვნას არ ვეთანხმები, იქ სუბიექტურ მიზეზებზეა საუბარი. ის ვერ იქნება, რომ ზარდიაშვილის ბრალია, რომელიც ერთი წელია, აქ არის. ის, რომ ინფრასტრუქტურული პრობლემები აქვს ჩვენს ხაზებს, ათეულობით წლებია, ერთი პიროვნების ბრალი ვერ გახდება. სემეკ-ის შეფასება ობიექტური არ იყო და ეს ზარდიაშვილმაც იცოდა, ამიტომ ეს მისი წასვლის მიზეზი ვერ გახდებოდა. საქართველოში იმყოფება, როგორც ვიცი. ძალიან ეფექტურ მენეჯერად მივიჩნევ და ადამიანად, რომელმაც დიდი ხნის არეული სისტემა დაალაგა და გამჭვირვალე გახადა“** – განაცხადა **გიორგი აბრამიშვილმა.**

**შეგახსენებთ, რომ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გენერალური დირექტორის ვანო ზარდიაშვილის გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია 2 აგვისტოს გავრცელდა. მიზეზად ქვეყანაში, 24-25 ივლისს, ელექტროენერგიის ავარიული გათიშვა დასახელდა. თავის მხრივ, სემეკ-მა საქართველოში ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზების შესწავლის პირველადი შედეგები წარადგინა.**

სემეკ-ის სამუშაო ჯგუფის განცხადებით, 24 ივლისს, საქართველოს ენერგოსისტემა აზერბაიჯანის ენერგოსისტემას გამოეყო, იზოლირებულ რეჟიმში დარჩა. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ უნდა ემოქმედა საქართველოს ენერგოსისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისთვის. პარალელურად, საზოტაჟის მუხლით გამოძიება დაიწყო სუსმა და ჩვენი ინფორმაციით, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ თანამშრომლები უკვე გამოკითხეს.

რაც შეეხება გენერალურ დირექტორს, ჯერჯერობით, ზარდიაშვილი სუს-ში გამოკითხვაზე დაბარებული არ ყოფილა. ზარდიაშვილი ამ დრომდე არ აკეთებს კომენტარს, რატომ გადადგა თანამდებობიდან, ისევე, როგორც უცნობია მისი პოზიცია სემეკ-ის მიერ საქართველოში ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზების პირველად შედეგებზე.

მაშ ასე, **დავით ნარმანია**, ვანო ზარდიაშვილისკენ იშვერს ხელს, თუმცა ახლა მთავარია, რას იტყვის **გეკა გელაძის** უწყება, სადაც გამოძიება საზოტაჟის მუხლით მიმდინარეობს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **ლაშა ფარულავა** აცხადებს, რომ ელექტროსისტემის გათიშვაზე მხოლოდ ვანო ზარდიაშვილი არ არის პასუხისმგებელი. მისი თქმით, თანაბრად პასუხისმგებელია დავით ნარმანია.

**„დენის ტარიფი ივანიშვილის „ბიტკოინების“ გამო გაძვირდა, ახლა კი პასუხისმგებლობას ვანო ზარდიაშვილს აკისრებენ, რომელიც იმ პოზიციაზე საერთოდ არ უნდა ყოფილიყო. იგი 2025 წელს მხოლოდ იმის გამო დანიშნეს, რომ მამუკა მდინარაძის მეგობარია. ზარდიაშვილს 18 000 ლარი ჰქონდა ხელფასი, პროფესიონალები გაათავისუფლეს და მათ ადგილას პარტიული კადრები დანიშნეს.**

**ამ ყველაფრის შედეგს კი დღეს ყველა ვხედავთ, ავარიული გათიშვის გამო, საქართველო ორჯერ ჩაბნელდა. მხოლოდ ზარდიაშვილი არ არის პასუხისმგებელი. რას ამბობდა დავით ნარმანია, როცა დენს აძვირებდა? აცხადებდა, რომ „ავარიული გათიშვები რომ არ მოხდეს, ტარიფი 33%-ით უნდა გაიზარდოს, რადგან ეს თანხა სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციას სჭირდებაო“ მაშინ, რატომ გაითიშა საქართველო ორჯერ ავარიულად?! რატომ არის ნარმანია კვლავ სემეკ-ის თავმჯდომარე“** – აცხადებს **ლაშა ფარულავა.**

თბილისის მერი **კახა კალაძე** აცხადებს, რომ ავარიები, დაზიანებები ყოველთვის, ყველა ქვეყანაში შეიძლება მოხდეს, მთავარი დროული რეაგირებაა.

**„გავიხსენებ, როცა ენერგეტიკის მინისტრი ვიყავი, იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც მთელ საქართველოს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია, რაც უკავშირდებოდა „იმერეთის“ 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზს. ამ ტიპის შემთხვევები ყველგან ხდება, მათ შორის, ევროპულ ქალაქებშიც. სამწუხაროა, თუმცა კარგია, რომ დროულად მოხდა შესაბამისი რეაგირება“** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

პრემიერ-მინისტრის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, ვანო ზარდიაშვილის ხელმძღვანელობით, ელექტროსისტემაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. აცხადებს, რომ მასზე მხოლოდ დადებითი შეუძლია თქვას, დანარჩენზე ეკონომიკის სამინისტროში მიიღება გადაწყვეტილება, რომელშიც არ ჩაერევა.

**„მე ვერ გეტყვით, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უშუალოდ ეკონომიკის სამინისტროში მიიღება. ერთადერთი რამ შემიძლია გითხრათ, ვანო ზარდიაშვილის ხელმძღვანელობით, ელექტროსისტემაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, ჩვენ ამაზე არაერთხელ გვისაუბრია, უამრავი თანხა დაიზოგა მისი ხელმძღვანელობით ელექტროსისტემაში, ძალიან ბევრი პროექტის ოპტიმიზაცია მოხდა, რის საფუძველზეც, სახელმწიფო ეკონომიკურად ახორციელებდა შესაბამის პროექტებს. შესაბამისად, მე მხოლოდ დადებითი შემიძლია ვთქვა ვანო ზარდიაშვილთან დაკავშირებით, მისი საქმიანობა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იყო წარმატებული. დანარჩენი მისი გადასაწყვეტია, ეკონომიკის სამინისტროში მიიღება ეს გადაწყვეტილება და, რა თქმა უნდა, ამაში მე არ ჩავერევი“** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

**თამთა ქარჩავა**



# მთავრობამ გადაწყვიტა, რეგიონებს მიხედოს!

**2026 წლის 29 ივლისს, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მთავრობაში რეგიონული პოლიტიკის სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა შეიქმნება. აღნიშნულ თანამდებობას მამუკა მდინარაძე დაიკავებს. ამასთან, ის შეინარჩუნებს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებლის პოსტსაც.**

დედაქალაქებისა და ერთი-ორი ეკონომიკური ცენტრის ჰიპერტროფირებული ზრდა, პროვინციების დაკნინებასთან ერთად, ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყნის პრობლემას წარმოადგენს. სამწუხაროდ, მსგავსი პროცესები საქართველოშიც მიმდინარეობს. თბილისსა და ბათუმში მშენებლობის ბუმი გრძელდება, ხოლო მოსახლეობა სულ უფრო მეტად სწორედ ამ ქალაქებში მიედინება. ამასობაში, საქართველოს სოფლები ეკონომიკურად დათრგუნული რჩება და თანდათან ცარიელდება.

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, თბილისზე ქვეყნის მშპ-ის 53.1% მოდის, ხოლო აჭარასა და მის დედაქალაქ ბათუმზე – კიდევ 9.3%. დარჩენილ ათ რეგიონზე კი ქვეყნის მშპ-ის მხოლოდ 37.6%-ია.**

დემოგრაფიული სურათიც მსგავსია: მოსახლეობის დადებითი ბუნებრივი ზრდა მხოლოდ სამ რეგიონში დაფიქსირდა – თბილისში, აჭარასა და ქვემო ქართლში. ქვეყნის ყველა სხვა რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი კლება შეინიშნება, რაც სოფლებიდან ახალგაზრდების გადინებით არის განპირობებული.

**განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია მთიანი რეგიონები, სადაც მიტოვებული სოფლების რაოდენობა კვლავ იზრდება. საქართველოს 3617 სოფლიდან 200 უკვე ცარიელია, ხოლო 278-ში ათი ან ნაკლები მცხოვრები ცხოვრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინიც შეიძლება მალე დაცარიელდნენ. სოფლის სკოლები იხურება მაშინ, როდესაც თბილისსა და ბათუმში პირველკლასელების მშობლებს გადატვირთულობის გამო ხშირად უჭირთ სახლთან ახლოს მდებარე სკოლაში ადგილის პოვნა.**

ამასობაში, მმართველი პარტია – „ქართული ოცნება“, საკუთარ ძალაუფლებას მნიშვნელოვანწილად სწორედ რეგიონებში მიღებული ამომრჩეველთა ხმების ხარჯზე ინარჩუნებს. ამის საპირისპიროდ, ოპოზიციის მხარდაჭერა ყველაზე მაღალი თბილისში იყო. რეგიონების დეგრადაცია და მოსახლეობის შემცირება თავად მმართველი პარტიის პოლიტიკურ მომავალსაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

**მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდის შედეგად მთავრობას დამატებითი საბიუჯეტო რესურსები გაუჩნდა, რომელთა რეგიონული განვითარებისკენ მიმართვაც შესაძლებელია. საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებით შესაძლებელია დედაქალაქსა და სოფლის რაიონებს შორის არსებული უფსკრულის შემცირება. თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმისა და ადგილობრივ დონეზე კორუფციის წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლის გარეშე, მაღალია რისკი, რომ გამოყოფილი თანხები უბრალოდ „შეიწოვება“ ან გაიფლანგება, ხელშესახები შედეგის გარეშე.**

სწორედ ამიტომ დაინიშნა მამუკა მდინარაძე რეგიონული განვითარების საკითხებზე პასუხისმგებელ პირად. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა მთავრობის მიერ სამართალდამცავ ორგანოებზე კონტროლის გამკაცრებაში, გარე დესტაბილიზაციის საფრთხისა და „რევოლუციური“ გადატრიალებების ორგანიზების მცდელობების ფონზე.

მამუკა მდინარაძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურ ისტორიაში. მას, როგორც მკაცრ და უკომპრომისო ლიდერს, ჩამოყალიბებული რეპუტაცია აქვს და პარტიის ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთ უახლოეს თანამოაზრედ მიიჩნევა ძირითად პოლიტიკურ საკითხებში, მათ შორის, ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში გარე ზეწოლის პირობებში.

პარლამენტის წევრის რანგში მამუკა მდინარაძე ცნობილია საქართველოს ომში ჩათრევის წინააღმდეგ თავისი მტკიცე პოზიციით. 2022 წლის ივნისში მან ღიად განაცხადა, რომ ევროკავშირი ქვეყანას „მეორე ფრონტის“ გახსნისკენ უბიძგებდა. ბოლო წლებში მამუკა მდინარაძეს „ქართული ოცნების“ გუნდში ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები დაევალა. ის მმართველი პარტიის საპარლამენტო ფრაქციას ხელმძღვანელობდა რადიკალურ ოპოზიციასთან პოლიტიკური დაპირისპირებისა და ქუჩის არეულობის ორგანიზების მცდელობების პერიოდში.

2025 წლის სექტემბერში მამუკა მდინარაძე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს-ის) უფროსი გახდა. ხელისუფლების ცნობით, ამ თანამდებობაზე მან ხელი შეუშალა ოპოზიციის მიერ 2025 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნებისთვის დაგეგმილი „რევოლუციური“ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. 2026 წლის აპრილში მან დაიკავა ვიცე-პრემიერისა და სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მის საქმიანობას ამ თანამდებობაზეც მაღალი შეფასება მისცა.

**„რამდენიმე თვის წინ მამუკა მდინარაძემ სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა დაიკავა, სადაც გადამწყვეტი წვლილი შეიტანა კოორდინირებული სამართალდამცავი სისტემის შექმნაში. ამ ხნის განმავლობაში შესრულებული სამუშაო საშუალებას გვაძლევს, მომავალში უზრუნველვყოთ სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანი კოორდინაცია და ფუნქციონირება სახელმწიფო მინისტრის ამ თანამდებობის გარეშე“** – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ.**

**„რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება დღეს სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და მამუკა მდინარაძე – პოლიტიკოსი, რომელსაც განსაკუთრებული პოლიტიკური და მენეჯერული გამოცდილება აქვს – საუკეთესო კანდიდატია ამ ამოცანის შესასრულებლად“** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა

ის ფაქტი, რომ რეგიონული განვითარება მამუკა მდინარაძეს დაევალა – პოლიტიკოსს, რომელმაც თავი „ქართული ოცნების“ პოლიტიკური კურსის მკაცრ და უკომპრომისო განმახორციელებლად წარმოაჩინა, ხელისუფლების განზრახვაზე მიუთითებს, სერიოზულად მოაგვაროს რეგიონებში ეკონომიკური განუვითარებლობისა და დემოგრაფიული კლების პრობლემები.

**ცხადია, რეგიონების მხარდაჭერის გაზრდა მყისიერ შედეგს არ გამოიღებს. თუმცა, თუ ხელისუფლება შეძლებს ჰიპერურბანიზაციისა და კაპიტალის კონცენტრაციის ნეგატიური ტენდენციების შეცვლას და რეგიონების დაცარიელების პროცესის შეჩერებას, საქართველოს გამოცდილება შესაძლოა, ფასდაუდებელი აღმოჩნდეს სხვა ქვეყნებისთვისაც, რომლებიც მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან.**

**Caliber.Az-დან თარგმნა**
**ქეთი გიორგაძემ**



**ბესარიონ კილასონია**

**პროფესორი, სასამართლო ექიმი**

## რა ვიცით ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღის შესახებ?

**ნ. ბარათაშვილის სკოლის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი 1881 წლის გაზეთ „დროებაში“ პოეტის დაბადების თარიღად წერდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა ტფილისში, 1816 წელსა, 22 ნოემბერს“.**

**ზაქარია ჭიჭინაძე 1885 წელს გამოცემულ წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ პოეტის დაბადების გამო წერდა: „ასე ვფიქრობ, რომ უეჭველად 1816 წელს უნდა იყოს დაბადებული“.**

**განჯაში საფლავის ქვაზე ეწერა დაბადების წელი 1816, გარდაცვალების წელი 1845, გარდაიცვალა 29-ე წელიწადში.**

1928 წელს პავლე ინგოროყვამ საეჭვოდ ჩათვალა ეს თარიღი და განაცხადა: „ბარათაშვილი 1819 წელს დაიბადა და არა 1816 წელს, როგორც ამას დღემდე ფიქრობენ“. იმავე ავტორმა 1938 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ ბიოგრაფიულ ნარკვევში ნ. ბარათაშვილის შესახებ მგოსნის დაბადების თარიღად 1818 წელი გამოაცხადა: „თარიღი პოეტის დაბადებისა არის 1818 წელი“.

პროფესორი შალვა ჩხეტია ნაშრომში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ იზიარებს პოეტის დაბადების თარიღად 1817 წლის 15 დეკემბერს, რადგან ეყრდნობა საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოში დაცულ „საქმე N4953 (ფონდი 138)“-ის მასალებს.

საიდან მოდის 1817 წლის 15 დეკემბერი? ეს „გაფორმებული თარიღია“ მელიტონ ბარათაშვილის იმ „თხოვნის საფუძველზე, რომელიც მან 1835 წლის 30 ოქტომბერს შეიტანა საქართველო „იმერეთის სინოდიალური კანტორის სახელზე, მეტრიკული მოწმობა სჭირდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სამსახურში მოსაწყობად. ამ თხოვნის საფუძველზე 24 დეკემბერს გაუციათ ნიკოლოზის „დაბადების მოწმობა“. 1835 წლის 24 დეკემბრის „დაბადების მოწმობის“ მიღებამდე, 1830 წლის 22 მაისს შედგენილ სხვა დოკუმენტებში მელიტონს ნიკოლოზის დაბადების თარიღად 1818 წელი აქვს მითითებული.

ი.ბალახაშვილმა, საქართველოს მმაჩის ცენტრალურ სამმართველოს არქივში, მოიძია საქართველოს ქალაქებისა და დაბა-სოფლების საეკლესიო ჩანაწერები, რომელიც იწყება 1818 წლის 1 იანვრიდან. ამ ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 1818 წლის 21 სექტემბერს დაბადებულა ნიკოლოზ ბარათაშვილის მომდევნო ძმა დავით ბარათაშვილი. ჩემი მოსაზრებით, სწორია მკვლევარი ი. ბალახაშვილი, როდესაც აღნიშნავს: „პოეტის დაბადების თარიღად საქართველოს ცენტრალური არქივის 138 ფონდის „საქმე“ N4953-ში 1817 წ. 15 დეკემბერია აღნიშნული, გამოდის, რომ დავითის დაბადების დღეს, მასზე უფროსი ნიკოლოზი 9 თვისა და 6 დღისა ყოფილა“, რაც სამედიცინო თვალსაზრისით თითქმის შეუძლებელია.



ნ. ბარათაშვილის კლასელის ლევან მელიქიშვილის დაბადების თარიღი არის 1816 წელი. ტფილისის გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე ჩასარიცხად წარდგენილ ღარიბ და წარჩინებულ მოწაფეთა სიაში ნიკოლოზ ბარათაშვილი და ლევან მელიქიშვილი თანატოლებად 12-წლიანებად არიან დასახელებული. გარდა ამისა, თვით ნ.ბარათაშვილი მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახიჭევანში“; ეს წერილი გამოგზავნილია ნახიჭევანიდან, როდესაც ნიკოლოზი ლევან მელიქიშვილის თანაშემწედ იყო განწესებული. ცხადია, ნიკოლოზ ბარათაშვილი „ორ ტლუ ბიჭში“ გულისხმობდა თავის თავსა და ლევანს.

# პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ნიკოლოზის კლასელი კონსტანტინე მამაცაშვილი აღნიშნავს, რომ დაბადებულა 1815 წელს და ნიკოლოზი ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყოო: „თვითონ ნ. ბარათაშვილისგან გამიგონია ბევრჯერ, რომ 1816 წელს დაიბადა“.

მკვლევარები ი.ბალახაშვილი, გ.ჭიბლაძე, ს.ცაიშვილი და ნ.კილანავა ნ.ბარათაშვილის დაბადების თარიღად 1816 წლის 22 ნოემბერს თვლიან.

ქართველი საზოგადოება დღემდე ნ. ბარათაშვილის იუბილეებს აღნიშნავს 1817 წლის დაბადების მოწმობის საფუძველზე, რაც არ უნდა იყოს მართებული, რადგან სინამდვილეში ნიკოლოზი უნდა დაბადებულიყო 1816 წლის 22 ნოემბერს (ძვ. სტილით), ახლით 4 დეკემბერს. ამ თარიღს ადასტურებს ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია, 1817 წლის დაბადების შემთხვევაში ის გარდაცვლილა დაბადებიდან 28-ე წელს და არა – 29-ე, როგორც საფლავის ქვაზე იყო მითითებული.

პოეტის პირველ ბიოგრაფად ითვლება მისი სკოლის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი. მისი მოგონება დათარიღებულია 1881 წლის 29 სექტემბრით. რომელიც აღნიშნავს, რომ ტატო ბარათაშვილი იყო ფხიზელი ყმაწვილი, ცნობისმოყვარე; თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეუყვანიათ 1827 წლის სექტემბრიდან; „თვითონ ნ. ბარათაშვილისაგან გამიგონია, რომ ქართული წერა-კითხვა პატარამ, რვა წლისამ იცოდა“. კ. მამაცაშვილი ახასიათებს ნ. ბარათაშვილს: „კარგად სწავლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მხიარულის ხასიათით, სიმარდით. პირველი მოტანცავე იყო საკუთრად ლეკურისა, ყველასგან საყვარელი ამხანაგი. როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი სასწავლებელში იყო იცვამდა ქართულად, როგორც სხვანი იმისი ამხანაგები. მე მახსოვს ნიკოლოზი ჩაცმული ბუზმენტით მორთულ ჩოხაში, დიბის ახალუხით, თავზე პატარა ქართული ჩაკეცილი ქუდით, ქართულად რომ იტყვიან, კოხტაურად ჩაცმული, შემდეგ სამსახურში რუსულად იცვამდა. ნ. ბარათაშვილი იყო შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი, ცოტა პირხმელი, ცოცხალი შავის თვალებით, წაბლის ფერის თმით, სახე საგანგებოდ მიმზიდველი (ქართულად რომ იტყვიან მარილიანი).“



ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნ.ბარათაშვილის ბიოგრაფი ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „ბარათაშვილს ექვსი შვიდი წლის გამხდარა თუ არა შინაურულად დაუწყებინებიათ სწავლა, შემდგომ მიუციათ კალოუბნის სკოლაში, სადაც ერთი წელი დარჩენილა“. 1825 წლის 26 ივლისს კეთილშობილთა სასწავლებელში მიუღიათ. ამ სასწავლებლის 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთების შემდეგ, სწავლა განაგრძო გიმნაზიაში. 1831 წლის 5 ნოემბერს პოეტის თანაკლასელი და ბიძა ილია ორბელიანი თავის ძმას გრიგოლს წერდა: „მე და ტატიკო გადაგვიყვანეს მეოთხე კლასში. ეხლა მე იმედი მაქვს მეხუთე კლასში გადასვლისა“. 1832 წლის თებერვალში ილია ორბელიანი ძმას გრიგოლს წერდა: „დირექტორმა გვითხრა, რომ ვისაც სურს, თათრული ენა ისწავლოსო, და ვისაც სურს, გერმანულიო, ხოლო ფრანგული ენა კი ყველამ უნდა შეისწავლოს. მე, გერმანულს ვსწავლობ. გერმანულს ჩვენს სკოლაში მხოლოდ ოთხნი ვსწავლობთ: მე, ტატიკო, ბაგრატიონ„დავითაშვილი და მელიქიშვილი. ეხლა ჩვენ გერმანულად ვკითხულობთ და ვწერთ ისევე როგორც რუსულად, და ჩქარა დავიწყებთ გრამატიკას. ფრანგულადაც აგრეთვე კარგად ვკითხულობთ და ამას წინად გრამატიკაც დავიწყეთ“.

1830-32 წლებში ნ.ბარათაშვილს გიმნაზიაში ასწავლიდა ცნობილი ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი (1805-1836), რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობაზე. ნიკოლოზ ბარათაშვილი „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ ყოფნის დროიდანვე იყო სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურულ-პოლიტიკური წრის წევრი. პოეტს კარგი პირადი ურთიერთობა ჰქონდა სოლომონ დოდაშვილთან და ფილადელფოს კიკნაძესთან. ნ.ბარათაშვილის ახლობლის დ.გრიგოლაშვილის გადმოცემით, „ნ. ბარათაშვილს თავის მამა ხშირად ეტყოდა, რომ სოლ.დოდაშვილს და კიკნაძე ბერს თავი გაანებე, თორემ შენ გაითოკებიო“.

1832 წლის ცნობილ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული და გადასახლებული იქნა სოლომონ დოდაშვილი და სხვა შეთქმულების მონაწილეები, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი ორკვირიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს. ნ.ბარათაშვილი გათავისუფლების შემდეგ გიმნაზიაში იქნა აღდგენილი და ის აახლეებს ლიტერატურული წრის მუშაობას. წრე მალე შეუდგა ხელნაწერი ქართული ალმანახის გამოცემას, რომელშიდაც გამოქვეყნდა ნ.ბარათაშვილის „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, „ვარდი და ბულბული“, „კავკასიური მოთხრობა“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“.

1835 წლის მაისში, მეექვსე კლასის მოსწავლის ნიკოლოზ ბარათაშვილის აქტიური თანამშრომლობით გამოვიდა მოსწავლეთა ხელნაწერი რუსული ჟურნალის **„Цветок Тифлисской Гимназии“**-ის პირველი ნომერი. ჟურნალი „ყვავილის“ მეხუთე, ბოლო ნომერი, გამოვიდა 1836 წლის თებერვალში, როცა მისი თანამშრომლები მეშვიდე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები იყვნენ.

„თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ ყოფნისას ნ.ბარათაშვილი ცხენიდან გადმოვარდნილა და დამტვრევას გადარჩენილა, მაგრამ შემდგომში ტრავმას მაინც ვერ ასცდა. ზ.ჭიჭინაძის ცნობით, „1832 წელს ბარათაშვილი კიბიდან გადმოვარდნილა და ფეხები დაუმტვრევია, ბოლოს დიდის წამლობით მოურჩენიათ, მაგრამ შემდეგ ისე მარდათ ვეღარ დადიოდა“. 1835 წლის 25 ივლისს გრიგოლ ორბელიანი რიგიდან ეკითხებოდა თავის ძმას ზაქარიას: „რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს, თუ აღარა? და ან რას სწავლობს?“ ცხადია, პოეტის დაშავება ბარათის გამოგზავნის წინა თვეებში უნ-

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №99-100, 101-102**

და მომხდარიყო, მაგრამ როდის მოხდა ეს? მკვლევარი სოლომონ ცაიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს ამბავი 1835 წლის ზამთრის ბოლოს ან გაზაფხულის დამდეგს უნდა მომხდარიყო. თითქმის იმავე ხანებში ფეხი დაუზიანებია ბარათაშვილის ბიძასა და თანაკლასელ ილია ორბელიანსაც. ილია ორბელიანს ფეხი მორჩენია, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი დაკოჭლებულა. ფეხის მკურნალობის საკმაო დიდი ვადის მიუხედავად, ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც არ ჩამორჩენილა სწავლას და გიმნაზია დაუმთავრებია 1835 წლის 25 ოქტომბერს.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პოეტის ბიძას გრიგოლ ორბელიანს სურდა, დისწულს დორპატის უნივერსიტეტში განეგრძო სწავლა და ძმას ზაქარიას 1835 წლის 25 ივლისს სწერდა, ურჩიე მელიტონს, □ნეტავი გამოგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიც არის უპირველესი რუსეთში□

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნ. ბარათაშვილი □საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციაში□ მიუღიათ □გამოსაცდელად□1835 წლის ექვს ნოემბერს. 1836 წლის 18 იანვარს ბარათაშვილს ებოძა □კანცელარისტის□ თანამდებობა და დაიწყო პოეტის □ოფიციალური გაფორმება□სამსახურში. 1837 წელს უკვე ნიკოლოზ ბარათაშვილი ამავე სამმართველოში □სტოლნაჩალნიკად□ ინიშნება. □სასამართლო ექსპედიციაში□ მომსახურე ნიკოლოზ ბარათაშვილს ევროპულად სცმია შავი გრძელი ქურთუკი, დიდი და სქელი პალტო, შავი მაუდის ქუდი, „ხანდახან ჩალის ქუდსაც იხურავდა თურმე□ სამხედრო სასწავლებელზე და უნივერსიტეტზე მეოცნებე გახდა კანცელარისტი.

1837 წლის თებერვალში, ბიძამისისადმი გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: □სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდე და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუკი ჩე-



იონა მეუნარგია

მი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და თუ არ ინვალიდის კომანდაში სხუაგან არ მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფეხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს ასე, რომ ჩემებურად კიდეც ვხტი და კიდეც ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყვე უარი მათი და მით უამოვნობა, ვჰსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო.... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო მამაც ამ დროს ცუდად შეიქმნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: □შვილო, ხომ ჰხედავ შენი სახლის გარემოებასაო, იქნებ მე ვეღარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?□ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში". ამრი-



ილია ორბელიანი

გად, მისი ბავშვობის ოცნება, რომ სამხედრო გამხდარიყო, ვერ შეისრულა და ვერც უმაღლესი განათლება მიიღო ოჯახური მდგომარეობის გამო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სტუმრობა ყველას უხაროდა. პოეტის სკოლის მეგობრის დიმიტრი ყიფიანის სიტყვით, □ბარათაშვილი ყველგან დაიარებოდა და ყველგან მას ისე იღებდნენ, როგორც ღვიძლ ნათესავს□

მიუხედავად მისი მძიმე სულიერი მდგომარეობისა, პოეტის თანამედროვეებში შეკრებილი ცნობების მიხედვით, იონა მეუნარგია წერდა: □არც ერთი ქორწილი, ღამისთევა, ყრილობა არ იყო ტფილისის ქართველთა საზოგადოებაში, საცა ის არ ყოფილიყო თავმომლხენად და შემაქცევრად. ყმაწვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შვილი, მარჯვე მოსწრებული მოლაპარაკე, მოლექსე, მოლეკურე, ყოველგან მომსწრები, ყოველგან შინაური კაი, ის შეიქმნა საზოგადოების საყვარელ კაცად. საღამო ისე როგორ გაივლიდა, სამოთხ ოჯახს არ სწვეოდა ის. მისთვის ყველგან ფართოდ გაღებული იყო კარები. ორბელიანების ოჯახში, მეტადრე მანანა ორბელიანთან. ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში, ბარათაანთში, ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ციციშვილებში, ბარათაშვილი მუდმივად სტუმარი იყო, შემტანი მოძრავი გონებისა და მხიარულებისა. აქ თამაშობდა ის, აქ ლხინობდა, ოხუნჯობდა".

პოეტი ენამახვილობისა და ოხუნჯობის გამო კინაღამ დუელის მსხვერპლი გამხდარა. ნიკოლოზის სკოლის მეგობრების ლევან მელიქიშვილის და ნიკო ერისთავის ნაამბობი იონა მეუნარგიას ჩაუწერია: □ნ. ბარათაშვილი მეგობრობდა ერთს მაღალაშვილს, რომელიც აგრეთვე ენამწარე და დამცინავი იყო. იგი ხშირად აჯავრებდა რაღაცაზე ილია ორბელიანს. ამ დაცინვაში ხანდახან ტატოც წაეხმარებოდა ხოლმე მაღალაშვილს. ორბელიანმა დიდხანს ითმინა, მაგრამ ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა, გადასწყვიტა პირველსავე შემთხვევაზე გამოეწვია დუელში მაღალაშვილი. მალე მეგობართა ჩვეულებრივი შეკრებაც მოხდა, მაგრამ იმ საღამოს, რაღაც შემთხვევის გამო, მაღალაშვილი არ მოსულა. ილიამ ჯავრი ტატოზე იყარა. დუელში გამოითხოვა.□მივიდნენ დანიშნულ ადგილზე, გაზომეს ნაბიჯები, გატენეს დამბაჩები და დააყენეს მოპირდაპირენი. □ილია, მაღალი, გორაზე დავაყენეთ და ტატო დაბალი-დაბალზე. სეკუნდანტის ხმაზე □ერთი, ორი□ესროლეს. ერთს გაუცუდდა, ფალიამ იფეთქა. ილია გაჯავრდა, ეგონა, რომ მოატყუეს. სული ჩაბერა, გატენილია. ხელახლა წამალი დააყარეს. ტატოს ხელახლა გაუტენეს და ესროლეს. ტატო წაიქცა განგებ, ილია შეწუხდა. დამბაჩები უტყვიოდ იყო გატენილი□

საინტერესოა ამ დუელის ფინალი. ილია ორბელიანს ეგონა, დისშვილი მოკლა და ატირებული გაქცეულა წაქცეული ტატოსაკენ, ხელი წაუვლია შარვალზე, მოუქაჩია; უცებ ტატოს სიცილი ასტეხია და უყვირია □ქიშმიში მაქვს, ქიშმიში! ჯიბიდან არ ამოიღოო! დუელიც ოხუნჯობით დამთავრებულა. ეს ამბავი, პროფესორ შალვა ჩხეტიას მოკვლევით, □1840 წლის ახლო დროით□უნდა მომხდარიყო.

ნ. ბარათაშვილის მცირე ხელფასი ოჯახის შენახვას ვერ აუდიოდა. პოეტი ცდილობდა, დაწინაურებულიყო სამსახურში, რომ ჯამაგირი რამდენადმე მომატებოდა. მისმა დიდმა გულმოდგინებამ ნაყოფი გამოიღო და კანცელარისტის თანამდებობიდან □თავადაზნაურობის სამეურნეო ნაწილის უფროსად□დანიშნეს, შემდეგ □საპელაციო საქმეთა გამგებლად□დაამტკიცეს. მას მიენიჭა □გუბერსკი სეკრეტარის□, ხოლო სულ მალე □კოლეჟსკი სეკრეტარობის□ჩინი. ეს ჩინი მიუნიჭებიათ 1843 წლის ნოემბერში და სულ მალე პოეტი მძიმედ ავად გამხდარა. ეს ყოფილა ნ.ბარათაშვილის პირველი ავადმყოფობა. ლოგინიდან ახლად ამდგარ პოეტს დის ეკატერინეს მზითევზე გაუჩნდა საზრუნავი, რომელიც 1844 წლის 6 აპრილს დაინიშნა რევაზ ქსნის ერისთავზე. იმავე წლის ივნისის შუა რიცხვებში ნ. ბარათაშვილმა რამდენიმე დღე გაატარა ქართლში, დის ქორწილში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი ლევან მელიქიშვილი 1844 წლის 17 ნოემბერს მიავლინეს ნახიჭევანის მაზრის უფროსის მოვალეობის დროებით აღმსრულებლად, მისი თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად კი დაინიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც 28 ნოემბერს უკვე ნახიჭევანშია.

ნახიჭევანის ჰავა ავთვისებიანი და ციებიანი იყო, □**все чиновники более или менее страждут беспрерывной лихорадкою**□იმდროინდელ ერთ-ერთ დოკუმენტშია აღნიშნული. პოეტი მაიკო ორბელიანს სწერს: □ჩვენ აქ ცხოვრება, სწორი გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არის რა! ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო,უფრო დაბლუვდა სიცხისაგან□ ლევან მელიქიშვილი თხოვნებს წერდა, რათა ნახიჭევანიდან გაენთავისუფლებინათ. 1845 წლის 12 მარტს ნახიჭევანის მაზრის უფროსის თანამდებობაზე გაიგზავნა იასე ზაქარიას ძე სულხანიშვილი, ხოლო ლევან მელიქიშვილს ნ.ბარათაშვილიც თან წამოჰყვა. ამრიგად, ნ.ბარათაშვილმა ნახიჭევანში დაჰყო ოთხი თვე 1844 წლის ნოემბრიდან 1845 წლის მარტის დამლევამდე.

ნ.ბარათაშვილმა თბილისში შესაფერისი სამუშაო ვერ იშოვნა. 1845 წლის 6 ივნისს იგი თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ დაინიშნა, მაგრამ, განჯის მაზრის უფროსის მამუკა ორბელიანის მოთხოვნით, რომელიც განჯის უფროსად დაინიშნა, თელავის ნაცვლად ნ. ბარათაშვილი განჯაში განწესდა, სადაც 1845 წლის ივნისის ბოლოს წავიდა. პოეტი ქალაქის □სომხურ□ნაწილში ცხოვრობდა. ნ.ბარათაშვილი ხშირად ცვლიდა მივლინებაში წასულ უფროსს, მამუკა ორბელიანს. განჯის საშინელი სიცხეების დროს, როცა ამის საშუალება ეძლეოდა, მრეთში (მურუთში) მიდიოდა. მურუთი განჯიდან 14 ვერსით იყო დაშორებული და ცნობილი იყო კარგ სააგარაკო ადგილად მისი ტყისა და წყლის გამო.

თბილისში გადმოსვლის საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანდა. ნ. ბარათაშვილი გრ.ორბელიანს წერილით სთხოვდა, რომ მისთვის რაიმე ადგილი ეშოვნა და თბილისში გადმოეყვანა. გრიგოლ ორბელიანი ჰპირდებოდა, ცოტა მოითმინე და აქეთ გადმოგიყვანო.

**1845 წლის სექტემბერში ნ.ბარათაშვილი □ყაჩაღების დევნის დროს გაციებულა, ის იყო უნდა მორჩენილიყო, რომ ერთბაშად ბევრი ლუდი დაელია სიცხეში მყოფს, ხელახლა გაცივდა□ ავადმყოფობამ 9 ოქტომბრამდე გასტანა და 9 ოქტომბერს პოეტი, სავარაუდოდ, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. დაიმარხა 11 ოქტომბერს.**

* * *

**1881 წელს გაზეთ □დროება□N232-ში გამოქვეყნებულია კონსტანტინე მამაცაშვილის წერილი, საიდანაც ირკვევა: □მე ვთხოვე წიგნით ქალ. ელიზავეტპოლის მაზრის უფროსს გ.ს. განძიელს და იქაურის სოზორის მღვდელს მამა მიხეილ მძინაროვს და იმათგან, ორივესგან, მივიღე ერთნაირი ცნობა: ნ. ბარათაშვილი არის დასაფლავებული სამხრეთის მხრით ეკლესიის ახლო (5 არშინზე). სადაც ბარათაშვილი არის დამარხული აქ ყოფილა უწინ საზოგადო სასაფლაო, რომელიც დეკანოზს გრიგოლ ბასიანოვს, არქიერის ნებართვით, გაღად გადაუკეთებია.**

ზოგი საფლავის ქვები ძირს დაუწყვიათ და მიწა წაუყრიათ, ზოგი ქვები კი ამოუღიათ საფლავიდან: ის ქვაც აღარ ჩანს, რომელიც ეკუთვნოდა ბარათაშვილის საფლავს, ხოლო რომელს ქვებშიაც ყოფილა ჩასმული მარმარილოს ფიცრები ზედწარწერით, ეს ფიცრები ამოუღიათ და შეუნახავთ ეკლესიაში; ამათ შორის გ.განძიელს და მღვდელ მძინაროვს უპოვნიათ მარმარილოს ფიცარი, რომელზედაც აწერია რუსულად შემდეგი: □აქა მდებარეობს ნეშტი საქართველოს თავადის გუბერნიის მდივნის, ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილისა, რომელიც გარდაიცვალა ახალგაზრდობაში მყოფი, ოცდამეცხრე წელს, 9 ოქტომბერს 1845 წლისა□

ვინაიდან საფლავის ქვაზე ქართულ და რუსულ ენებზე მითითებულია გარდაცვალების სხვადასხვა თარიღი, ქართულად 2 ოქტომბერია მითითებული, ხოლო რუსულად 9 ოქტომბერი, საჭიროა დაზუსტდეს გარდაცვალების დღეც...

განჯის მაზრის უფროსის მამუკა ორბელიანის განჯაში არყოფნის გამო, ნ.ბარათაშვილის მიერ არის შედგენილი ბოლო საბუთი, დათარიღებული 1845 წლის 25 სექტემბრით. ამ დოკუმენტში პოეტი აღნიშნავს, რომ სოფელ სარლარში ჩადენილი დანაშაულის შესახებ 23 სექტემბერს გაუგია ადგილობრივი პროკურორისაგან. მაშინვე გამგზავრებულა პროკურორთან შემთხვევის ადგილზე და დაუპატიმრებია მკვლელობაში ეჭვმიტანილი სოფლის მამასახლისი დანაშაულის დამალვისათვის.

სოფელ სარლარში პოეტი გაციებულა. 27 სექტემბერს ბარათაშვილი მწოლიარეა, სამსახურის ხაზით მის მაგივრობას განჯის გოროდნიჩი სავარსამიძე ასრულებს. 1845 წლის 4 და 10 ოქტომბრის პატაკებს ასეთი ხელმოწერა აქვს: □მაზრის უფროსის არ ყოფნისა და მისი თანაშემწის ავადმყოფობის გამო გოროდნიჩი პოლკოვნიკი თავადი სავარსამიძე□ 11 ოქტომბერს პოლკოვნიკი პატაკში აღარ იხსენებს ნიკოლოზ ბარათაშვილს. ამრიგად, 2 ოქტომბერს პოეტი არ უნდა ყოფილიყო გარდაცვლილი, რასაც ადასტურებს, აგრეთვე, საეკლესიო ჩანაწერებში მითითებული გარდაცვალების თარიღი 9 ოქტომბერი. გარდაცვალების მიზეზი ცხელება. დაუკრძალავთ 11 ოქტომბერს.



**პოეტის ბიძამ გრიგოლ ორბელიანმა ტატოს გარდაცვალება მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეიტყო, 1845 წლის 29 ნოემბერს მისდამი ძმის ილია ორბელიანის მიერ მიწერილი წერილით...**

(გაგრძელება იქნება)

**ანონსი**

მორიგ ნომერში წაიკითხეთ:

**გზა განჯიდან მთაწმინდამდე**

საქართველო და რესპუბლიკა — ცუდად აღგზნებულები...
№103-104. ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 2026 წელი

# ევროპა ჩვენ თვალწინ იღუპება და იმედი არსად ჩანს„

**თანამედროვე ევროპა სულ უფრო მძიმე ფასეულობათა კრიზისს განიცდის და ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და საგანგაშო მაგალითი ამსტერდამში განვითარებული მოვლენებია. ქალაქი, რომელიც ოდესღაც კლასიკური ევროპული კულტურისა და ქრისტიანული მემკვიდრეობის ნაწილი იყო, დღეს ულტრალიბერალური ექსპერიმენტებისა და ტრადიციული ღირებულებების ნგრევის ეპიცენტრად იქცა. ამსტერდამის ე.წ. „პრაიდ კვირეულმა“ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ რადიკალური იდეოლოგია აღარ სჯერდება მხოლოდ ქუჩებს — მას ახლა ჩვენს სიწმინდეებსა და ჩვენს შვილებზე მიაქვს იერიში.**

## ამსტერდამის პრაიდ კვირეული




**განსაკუთრებით შოკის მომგვრელი იყო ის ფაქტი, რომ პრაიდ კვირეულის ოფიციალური გახსნისა და ღონისძიებების ერთ-ერთ მთავარ ლოკაციად ქალაქის შუა საუკუნეების ისტორიული ტაძარი (De Nieuwe Kerk) შეირჩა. ადგილი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ღვთისმსახურების, ლოცვისა და სულიერი სიმშვიდის სიმბოლოს წარმოადგენდა, ლგბტ პროპაგანდის სცენად იქცა.**

ეს არის მიზანმიმართული აქტი, რომლის მიზანი ქრისტიანული მემკვიდრეობის დამცირებაა. როდესაც იდეოლოგია ისტორიულ, წმინდა ტაძრებში იჭრება და მას საკუთარი დღის წესრიგის საჩვენებლად იყენებს, ეს არის ღია მესიჯი, რომ თანამედროვე ლიბერალური ექსტრემიზმი ცდილობს, სრულად წაშალოს და ჩაანაცვლოს ევროპის რელიგიური ფესვები.

**ტაძრის შეურაცხყოფა არ იკმარეს და ყველაზე მოწყვლად ნაწილს — ბავშვებს მიადგნენ. ამსტერდამში გამართული ე.წ. „ჯუნიორ პრაიდი“ (Junior Pride) ნათელი დასტურია იმისა, რომ მოძრაობის მთავარი სამიზნე მომავალი თაობაა.**

**ბავშვები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ ჩამოყალიბებული ფსიქიკა და კრიტიკული აზროვნების უნარი, მიზანმიმართულად არიან ჩათრეულნი ლგბტ პროპაგანდაში. იმის ნაცვლად, რომ დაცული იყოს მათი ბავშვური უმანკოება და მიეცეთ საშუალება, გაიზარდონ ჯანსაღ, ბუნებრივ გარემოში, თავს ახვევენ ისეთ კონცეფციებს, რომლებიც მათ ასაკს საერთოდ არ შეესაბამება. „ინკლუზიურობისა“ და „მრავალფეროვნების“ ლამაზ სიტყვებზე ამოფარებით, რეალურად ხდება არასრულწლოვანთა იდეოლოგიური დამუშავება (ინდოქტრინაცია).**

**ევროპა ჩვენ თვალწინ იღუპება და იმედი არსად ჩანს...**

*წყარო: https://geo-first.com/evropa-cven-tvalwin-irupeba-da-imedi-arsad-cans/*

BRUSSELS SIGNAL

# ევროკავშირის გაფართოება მას თავად დაშლის

**გამოცემა Brussels Signal-ის ინფორმაციით, უკრაინა ევროკავშირში გაწევრების გზაზე სირთულეებს აწყდება: თუ პოლონეთი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარდამჭერი იყო, ახლა პოზიციას იცვლის, როგორ შეძლებს კიევი იმ ქვეყნების დარწმუნებას, რომლებიც ისედაც ნაკლებად უჭერდნენ მხარს მის წევრობას?**

**როგორც გამოცემის მიერ მომზადებულ სტატიაშია აღნიშნული, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ სხვა ქვეყნები პოლონეთის მზარდ სკეპტიციზმს ერთგვარ ფარად გამოიყენებენ და თავად არ მოუწევთ საკუთარი პოზიციის ღიად დაფიქსირება, ისევე, როგორც ზოგიერთი მთავრობა წარსულში უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის ზურგს უკან იმალებოდა, როდესაც ის ბრიუსელის გადაწყვეტილებებს ეწინააღმდეგებოდა.**

პოლონეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომელიც 2-დან 12 ივლისამდე ჩატარდა, ბრიუსელში შეშფოთება გამოიწვია. სახელმწიფო კვლევითი ცენტრის „საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის“ (CBOS) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ **პოლონეთში უკრაინის ევროკავშირში გაწევრების მხარდაჭერა მკვეთრად შემცირდა: 2022 წლის მარტში არსებული 90%-დან ის 50%-მდე დაეცა.**

**კიდევ უფრო საგანგაშოა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც უკრაინის გაწევრებას აქტიურად ეწინააღმდეგებიან: მხოლოდ მათი წილი 2%-დან 40%-მდე გაიზარდა.**

თუმცა, როგორც გამოცემა იუწყება, შესაძლოა, ევროკავშირმა საბოლოოდ მადლობა უნდა გადაუხადოს პოლონეთს, რადგან შემდგომი გაფართოება, სავარაუდოდ, თავად ევროკავშირის არსებობას შეუქმნის საფრთხეს. რეალურად, წარსული გაფართოებები უკვე იქცა „შენელებული მოქმედების ნაღმად“, რომელიც შესაძლოა, მომდევნო ათწლეულებში ამოქმედდეს და ევროკავშირიც თან გაიყოლოს.

**ევროკავშირი 1992 წლამდე არ არსებობდა. მან მხოლოდ მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მიიღო დღევანდელი სახე. გაერთიანება გაჩნდა მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა ცივი ომი მოიგო და საბჭოთა კავშირის ალტერნატივა ამერიკის ლიბერალური საერთაშორისო წესრიგისთვის გაქრა.**

თავისი არსებობის განმავლობაში ევროკავშირი მთლიანად აშშ-ის ბირთვული ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებდა.




პრაქტიკულად ყველა ქვეყანა, რომელიც 1992 წლის შემდეგ ევროკავშირსა და ნატოს შეუერთდა, თავდაპირველად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრდა. ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ რამდენიმე თვით ადრე, წერს გამოცემა. **ევროკავშირში ნატოზე ადრე არ გაწევრებულ ქვეყნებს შორის იყვნენ მხოლოდ: ოფიციალურად ნეიტრალური ქვეყნები — ავსტრია და მალტა; ქვეყნები, რომლებიც მანამდე ნეიტრალურები იყვნენ — ფინეთი და შვედეთი (რომლებიც ნატოს მხოლოდ 2023 და 2024 წლებში შეუერთდნენ); ან ქვეყანა გაყინული სამხედრო კონფლიქტით — კვიპროსი.**

ამ სწრაფმა გაფართოებამ ევროკავშირში თავი მოუყარა ქვეყნებს, რომლებიც მანამდე დასავლეთის ნაწილად ხშირად არ განიხილებოდნენ, მაგალითად, ბალტიის ქვეყნები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ერთგვარ საზღვარს წარმოადგენდნენ ორ სხვადასხვა სამყაროს შორის. ახლა კი ევროკავშირი მათ საკუთარ სივრცედ აცხადებს.

**ამერიკის უსაფრთხოების ქოლგის პირობებში ეს მარტივი ამოცანა იყო. ბალტიის ქვეყნები ევროკავშირსა და ნატოს 2004 წელს შეუერთდნენ, როდესაც რუსეთს მათი შეჩერების შესაძლებლობა არ ჰქონდა, აღნიშნულია გამოცემის სტატიაში. ორი წლით ადრე, როდესაც ნატოში გაწევრების პროცესი მიმდინარეობდა, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2002 წლის 23 ნოემბერს ვილნიუსში ლიეტუველებს განუცხადა, რომ ისინი „ნატოს ალიანსში იყვნენ საჭირო“ და „საერთო უსაფრთხოებაში შეიტანდნენ წვლილს“.**

ბალტიის ქვეყნები ინოვაციური, ლამაზი სახელმწიფოებია მდიდარი და უნიკალური ისტორიებით, რომელთა მნიშვნელობის შემცირებასაც, სტატიის ავტორის შეფასებით, ბრიუსელში ხშირად ცდილობენ. თუმცა ისინი საერთო უსაფრთხოებაში დიდ სამხედრო წვლილს ვერ უზრუნველყოფენ.

**ესტონეთმა 2026 წელს თავდაცვის ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 5,4%-მდე გაზარდა — ეს ნატოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. თუმცა, ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ეს მხოლოდ 2,4 მილიარდი ევროა. შედარებისთვის, აშშ-ის პენსილვანიის შტატმა მხოლოდ სასჯელაღსრულების სისტემისთვის 2026-2027 ფისკალურ წელს 3,4 მილიარდი დოლარი (დაახლოებით 3 მილიარდი ევრო) მოითხოვა.**

ბალტიის ქვეყნების დამატება ევროკავშირსა და ნატოში რუსეთის შეკავების მიზნით მოხდა. ეს იყო მცდელობა, რაც შეიძლება შორს წასულიყვნენ იმ პერიოდში, როდესაც მოსკოვი სუსტი იყო. ამერიკის უსაფრთხოების ქოლგის პირობებში ეს რისკიანი არ ჩანდა. თუმცა ახლა, როდესაც შეერთებული შტატები ამ ქოლგას უკან წევს, ევროკავშირზე მზის სინათლე სხვაგვარ სურათს აჩენს — ბრიუსელის პრობლემას: ერთმანეთისგან განსხვავებული ეროვნული ინტერესების მქონე ქვეყნების ნარევს, რომლებსაც ხშირად საერთო ძალიან ცოტა აქვთ, წერს Brussels Signal.

ევროკავშირის ძლიერ ქვეყნებს — გერმანიასა და საფრანგეთს შორის უკვე ჩანს ბზარები. თუმცა ეს უთანხმოებები უმნიშვნელო იქნება იმ განსხვავებებთან შედარებით, რომლებიც არსებობს, მაგალითად, პორტუგალიისა და ესტონეთის ან ლატვიისა და ბელგიის ეროვნულ ინტერესებს შორის. ახალგაზრდა ევროპელებს საკუთარი ქვეყნების დასაცავად ბრძოლა თითქმის აღარ სურთ. რიგის სტრადინშის უნივერსიტეტის მიერ ნატოს 32 წევრ ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გერმანიაში, იტალიასა და ნიდერლანდებში ახალგაზრდების მესამედზე ნაკლები აცხადებს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ქვეყნისთვის იბრძოლოს.

**რაც უფრო აღმოსავლეთით მივდივართ, ეს მაჩვენებელი იზრდება, თუმცა პოლონეთშიც კი 18-დან 29 წლამდე ასაკის ადამიანების მხოლოდ 18 პროცენტი ამბობს, რომ იარაღს აიღებდა ხელში. სტატიის ავტორი სვამს კითხვას: „ვინ აიღებს იარაღს ხელში ბალტიის ქვეყნების დასაცავად, თუ ისინი საკუთარი მეზობლების დაცვასაც არ აპირებენ?“**

**პრაიმტაიმი**

საქართველოს რესპუბლიკა



# მოსე ბოროდა

# ქართული მიწის ტრფიალი

წლეულს, მაისის თვეში, საქართველომ კიდევ ერთხელ უმასპინძლა პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს. ფესტივალის მთავარი მასპინძელი კახეთი იყო, რომელიც მისთვის ჩვეული სტუმარმასპინძლობით შეხვდა საპატიო სტუმრებს. სტუმრებს შორის გამოირჩეოდა მოსე ბოროდა, მხცოვანი შემოქმედი გერმანიიდან, რომელიც მოგხიბლავდა შინაგანი არისტოკრატიზმით, ღირსების გრძნობით, თავდაჭერილობით. ყვარელში ყოფნისას ბატონმა მოსემ, რუსულენოვანმა შემოქმედმა, ცალკე გამიხმო და მისთვის ჩვეული ტაქტით მთხოვა, მომესმინა მისი ერთი ლექსი. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი და მერე იყო, რომ თვალზე ცრემლი მომერია. ბატონმა მოსემ გორისადმი, უფრო სწორად, 8 აგვისტოს ტრაგედიისადმი მიძღვნილი ლექსი წამიკითხა. აღმოჩნდა, რომ თურმე შორეულ გერმანიაში ცხოვრობს შემოქმედი, რომლისთვისაც საქართველო ისევე ძვირფასია, როგორც ჩვენთვის, რომლისთვისაც მისი ყველა იარა ძველი თუ ახალი, ისევე მტკივნეულია, როგორც ჩვენთვის.

ბატონ მოსეს მადლობა გადავუხადე ამ შესანიშნავი, გულის გულში გამოვლილი სტრიქონებისთვის და შევპირდი, რომ ეს ლექსი აუცილებლად ითარგმნებოდა ქართულად. ლქსის თარგმნას აბა ვის ვთხოვდი, თუ არა გორში დაბადებულ პოეტს (ქართული ლექსის დიდოსტატს) და იმ საშინელი ამბების თვითმხილველს ვანო ჩხიკვაძეს და მანაც არ გამაწბილა.

**ზაალ ბოტკოველი**

<u>მოსე ბოროდა</u>

## ქართლი (გორი)

ამ უნდობლობის კლდე ვინც აღმართე,
შენც რომ არ უწყი, რატომ და რისთვის, –
აგვისტოს ომით ცა რომ გამწარდა,
დღესაც კი ჰაერს სუნი აქვს სისხლის.

რად გამიცოცხლე მძიმე კადრები,
რად დამაბრუნე დაწყევლილ დროში,
როცა ზეობდი, ქართლის ამკლები,
როცა სიცოცხლე არ ღირდა გროშიც.

სხვისი ჭერი არ დაუნგრევიათ,
ავ ღრუბლებს ფრთა რომ გაუფოფრიათ,
სამაგიეროს რისთვის უხდიან,
ან დასაქცევად რატომ მოჰქრიან?!

რატომ აუშვით ომის გრიგალი,
რად ჩამოქუფრეთ ზეცა საავდროდ.
იმ დღეთა ტკივილს რა გამიქარვებს,
ანდა სიძულვილს რა დრო ჩააქრობს.

ძირძველი მოდგმის, ჯილაგის მტერო,
ვინც სიყვარულის არ იცი ფასი,
ისე მოკვდები, არ შეგაშფოთებს
ტკივილი შენგან აჩეხილ ვაზის!..

ხსოვნაში ვხედავ, მშვიდსა და ბებერ
სოფლებს აგვისტოს ცეცხლი ანათებს
და წყევლას ვუთვლი შენს წამქეზებელ
„მესამე რომის“ მფარველ ჯალათებს.

ღვთის კანონების ფეხქვეშ გამთელო
სისხლმა და ცრემლმა როცა იწვიმეს,
მძიმე ბრძოლაში,
კაცი კი არა,
თავად უფალი გამოიწვიე...

დრომ მწუხარება ვერ გაგვიქარვა,
გადაიარა თუმცა გრიგალმა!

ღამის განგაში აღარ გვაშფოთებს,
არც ბომბდამშენთა ღმუილის ექო,
ახლა ყურებში, სმენის დამხშობი,
კივის სიჩუმე!
სიჩუმე მეფობს!

აგვისტო, 2008.

თარგმნა ვანო ჩხიკვაძემ

# ბობოყვათის გაცვლით პროგრამაში ქართველი და ოსი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ!

**ქართველი და ოსი ახალგაზრდების მონაწილეობით მორიგი ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა (საზაფხულო ბანაკი) გაიმართა“.**

**„მიმდინარე წლის 24 ივლისიდან 1 აგვისტომდე, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ პროექტის, „ქართულ-ოსური სამშვიდობო ინიციატივა“ ფარგლებში, ქართველი და ოსი ახალგაზრდების მონაწილეობით მორიგი ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა (საზაფხულო ბანაკი) გაიმართა“,** – ამის შესახებ ინფორმაციას საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.



მათივე ცნობით, პროექტის მთავარი მიზანია, ქართველ და ოს ახალგაზრდებს შორის ნდობის, ურთიერთპატივისცემისა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბანაკში მონაწილეები ეცნობიან ერთმანეთის კულტურას, ტრადიციებსა და ცხოვრების წესს.

**„ასეთი კავშირები კი ამცირებს გაუცხოებას, ამსხვრევს სტერეოტიპებს და აყალიბებს კეთილგანწყობას. ახალგაზრდულ გაცვლაში მონაწილეობა მიიღო 40-მა ახალგაზრდამ, – 20-მა ქართველმა და 20-მა ოსმა. ერთი კვირის განმავლობაში ისინი ერთად ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ, მუშაობდნენ და თავისუფალ დროს ატარებდნენ.**

**ყოველდღიური პროგრამა დაფუძნებული იყო არაფორმალური განათლების თანამედროვე მეთოდებზე. ახალგაზრდებმა შეისწავლეს კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციის პრინციპები, ეფექტური კომუნიკაცია, დიალოგის კულტურა, ურთიერთპატივისცემა და ტოლერანტობა, მიღებული ცოდნა კი, პრაქტიკულ აქტივობებში, გუნდურ მუშაობასა და ყოველდღიურ ურთიერთობებში განამტკიცეს.**

**ბანაკში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო კულტურულ გაცვლას. მონაწილეები ერთმანეთს აცნობდნენ ქართულ და ოსურ სიმღერებს, ცეკვებს, ტრადიციებსა და ეროვნულ კულტურას. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო აქტივობა იყო ქართული და ოსური ენების გაკვეთილები, რომელმაც ახალგაზრდებს ერთმანეთის კულტურისადმი კიდევ უფრო დიდი ინტერესი და პატივისცემა გაუჩინა. საგანმანათლებლო სესიებთან ერთად პროგრამა მოიცავდა სპორტულ შეჯიბრებებს, ინტელექტუალურ თამაშებს, შემოქმედებით საღამოებს და გუნდურ აქტივობებს. თითოეული დღე მონაწილეებისთვის იყო ახალი გამოცდილების, ახალი მეგობრობისა და ახალი აღმოჩენების შესაძლებლობა.**

**განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ პროექტი ტარდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის შიო III-ის ლოცვა-კურთხევით. მისი უწმინდესობის გადაწყვეტილებით, ბობოყვათის საპატრიარქო რეზიდენციაში სამშვიდობო და ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელება კვლავ გრძელდება, სადაც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ახალგაზრდებს ერთმანეთის გაცნობისა და მეგობრობის შესაძლებლობა ეძლევათ. პროექტი დაფინანსებულია საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ, რომელსაც 2019 წელს ნეტარხსენებული კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩაეყარა საფუძველი და დღემდე ასობით ქართველ და ოს ახალგაზრდას აერთიანებს“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.



# ისწავლეთ უგამოცდოდ სახელმწიფოს დაფინანსებით

**ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტები სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან და სრული დაფინანსებით ისარგებლებენ.**

2026 წელს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან და საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის სრული დაფინანსებით ისარგებლებენ, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს განათლების სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია უკვე დაიწყო და 2026 წლის 5 სექტემბრამდე გაგრძელდება.

**„ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის უფლება აქვთ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. მსურველთა განაცხადები მიიღება მატერიალური ფორმით გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში (მისამართი: გორი, ფერაძის ქ. N5; თბილისი, პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1) და ელექტრონული ფორმით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ვებგვერდზე“**

# ქართული ღვინოს ტრიუმფი

**მიმდინარე წელს ქართული ღვინო მსოფლიოს 18 ქვეყანაში გამართულ 140-მდე ღონისძიებაზე იყო წარმოდგენილი. ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში ქართული ღვინო მსოფლიოს 11 ქვეყანაში გამართულ 24 საერთაშორისო გამოფენასა და ფესტივალზე იყო წარმოდგენილი.**

ღონისძიებები გაიმართა გერმანიაში, ჩინეთში, საფრანგეთში, იაპონიაში, იტალიაში, სლოვენიაში, საბერძნეთში, აშშ-ში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთსა და ბელარუსში.

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ამავე პერიოდში, მსოფლიოს 11 ქვეყანაში გაიმართა ქართული ღვინის 115 პრეზენტაცია და დეგუსტაცია. ღონისძიებებს გერმანია, ავსტრალია, აშშ, თურქეთი, ნორვეგია, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, სამხრეთ კორეა, პოლონეთი და დიდი ბრიტანეთი მასპინძლობდნენ.**

ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოში ჩატარდა 20 ღონისძიება, მათ შორის „მასტერკლასები, გამოფენები, ფესტივალები, კონკურსები და ფორუმები.

საანგარიშო პერიოდში, უცხოელი ღვინის პროფესიონალების, სავაჭრო სფეროსა და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით საქართველოში ღვინის 12 ტური გაიმართა. ქართული ღვინის საერთაშორისო ცნობადობის ზრდისა და ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი მეღვინეობის ტრადიციების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დაწესდა ღვინის ეროვნული დღე, რომელიც ყოველწლიურად 8 მაისს აღინიშნება.



საქართველოს რესპუბლიკა

შავი გვერდი

№103-104. ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 2026 წელი

**პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ბიზნესმენ ბესარიონ ხარძიანის წამებისა და ქონების გამოძალვის ფაქტებზე სასამართლომ გიორგი უდესიანი და ალექსანდრე მუხაძე დამნაშავედ ცნო!**

# გიორგი უდესიანსა და ალექსანდრე მუხაძეს 10,5 წლით ციხე მიესაჯათ!



**„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2008 წელს გიორგი უდესიანი და ბესარიონ ხარძიანი შპს □კუს ტბა კალასა□და შპს □კუს ტბა პალასის□პარტნიორები გახდნენ. 2011 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს ბესარიონ ხარძიანი, რომელიც პატიმრობის შეფარდების შემდეგ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში მოათავსეს.**

ბესარიონ ხარძიანის და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული კუს ტბის წილების უკანონოდ დაუფლების და შესაბამის ქონებებზე სრული კონტროლის მოპოვების მიზნით, გიორგი უდესიანმა შეიმუშავა და განახორციელა ძალადობრივი, დანაშაულებრივი გეგმა. ბრალდებული დაუკავშირდა N8 დაწესებულების იმჟამინდელ დირექტორს ალექსანდრე მუხაძეს, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა და დაავალა საპატიმრო დაწესებულებაში ბიზნესმენისთვის იმგვარი პირობების შექმნა, რომ ბესარიონ ხარძიანი და მისი ოჯახის წევრები იძულებული გამხდარიყვნენ, დაეთმოთ მათ საკუთრებაში არსებული კუს ტბის წილები.

ბესარიონ ხარძიანის საკანში მოათავსეს ადმინისტრაციის ნდობით აღჭურვილი ორი პატიმარი, რომლებსაც ალექსანდრე მუხაძისგან მიღებული ჰქონდათ დავალება, რომ ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით იძულებული გაეხადათ ბესარიონ ხარძიანი, დაეთმო კუს ტბის წილები. აღნიშნული პირები, თითქმის ორი თვის განმავლობაში სისტემატურად ძალადობდნენ მასზე როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფიზიკურად და აიძულებდნენ, რომ ქონება გიორგი უდესიანის სასარგებლოდ დაეთმო. ასევე, ალექსანდრე მუხაძის დავალებით, ბესარიონ ხარძიანის მიმართ განხორციელებულ ძალადობას ხელს უწყობდნენ და უშუალოდ მონაწილეობდნენ N8 დაწესებულების თანამშრომლებიც. ასევე, გიორგი უდესიანმა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელა ბესარიონ ხარძიანის ძმაზე გიორგი ხარძიანზე.

საბოლოოდ, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგად, პატიმარი ბესარიონ ხარძიანი და მისი ოჯახის წევრები იძულებული გახდნენ, გიორგი უდესიანისთვის დაეთმოთ კუს ტბის (შპს □კუს ტბა კალა□და შპს □კუს ტბა პალასი□) წილები, ვინაიდან მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მას ციხეში გაუპატიურება და მკვლელობა ემუქრებოდა. აღნიშნული ქონების ღირებულებამ დაახლოებით 4 000 000 ლარი შეადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი უდესიანი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ□და □ზ□ქვეპუნქტებით (წამების ორგანიზება, ჩადენილი ორი ან მეტი პირის და დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ) და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის □გ□ქვეპუნქტით (გამოძალვა, ჩადენილი დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად ათი წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ხოლო ალექსანდრე მუხაძე დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის □ა□, □ზ□, □თ□ქვეპუნქტებით (წამება, ჩადენილი მოხელის მიერ, დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ, შეკვეთით) და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ□ და „გ□ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით) წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად ათი წლით და ექვსი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა".




## ქართველი კრიმინალები ვალენსიაში

**ქართველმა და ესპანელმა სამართალდამცველებმა ქალაქ ვალენსიაში ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.**

ქართველმა და ესპანელმა სამართალდამცველებმა ქალაქ ვალენსიაში ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები □საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს, ხოლო მეოთხე წევრის დაკავების მიზნით საპოლიციო ღონისძიებები აქტიურად გრძელდება. შსს-ს ცნობით, აღნიშნულ სპეცოპერაციაში, ესპანელ კოლეგებთან ერთად, საქართველოს პოლიციის ატაშე მონაწილეობდა.

**□დაკავებულებს ბრალად ედებათ ბინის ქურდობა, ფულის გათეთრება და ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფის წევრობა. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ესპანეთის ტერიტორიაზე სისტემატურად ქურდავდნენ საცხოვრებელ ბინებს. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ისინი არჩევდნენ ისეთ სახლებს, სადაც მეპატრონეები არ იმყოფებოდნენ, სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით უკანონოდ შედიოდნენ და ეუფლებოდნენ ძვირადღირებულ ნივთებსა და თანხას. სამართალდამცველების მიერ დაკავებულების პირადი, ავტომობილებისა და დროებითი საცხოვრებლების ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ნაქურდალი ნივთები, დიდი ოდენობით ფული და დანაშაულის ჩასადენად საჭირო სპეციალური ხელსაწყოები. დაკავებულების მიმართ კანონით განსაზღვრული შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები ტარდება.**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით ევროპის ქვეყნებში წარგზავნილი პოლიციის ატაშეების მეშვეობით აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან, ინტერპოლსა და ევროპოლთან□ □** აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## თაღლითობისთვის საქართველოსა და ნიგერიის მოქალაქეები დააკავეს

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სხვისი ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ორი პირი დააკავეს.**

სუს-ის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში მცხოვრებმა ნიგერიის მოქალაქემ და შპს □საფეხბურთო კლუბ □გარდაბნის□მწვრთნელმა საქართველოს დროებითი ბინადრობის მოწმობის აღებაში დახმარების მიზნით ნიგერიის მოქალაქე ფიქტიური ხელშეკრულებით გააფორმეს ამავე საფეხბურთო კლუბში, რის სანაცვლოდაც მისგან აიღეს 3000 აშშ დოლარი. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-180-ე მუხლის მეორე ნაწილის □ა□ და □ბ□ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 7-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ბათუმელ ზედამხედველს ქრთამის აღების ფაქტზე წაასწრეს!

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა გატარებული საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებების შედეგად დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე დააკავეს ბათუმის მერიის ა(ა)იპ □ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის□სამშენებლო ზედამხედველობის თანამშრომელი.**

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა საქართველოს მოქალაქისგან ბათუმში უკანონოდ აშენებული კომერციული დანიშნულების ფართზე კანონით დადგენილი ჯარიმის თავიდან აცილების სანაცვლოდ ქრთამი აიღო, რა დროსაც დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ბრალდებულის სახით დააკავეს.

**□ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციაში□დაკავებულის უშუალო მოვალეობას წარმოადგენდა ბათუმის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა კლასის სამშენებლო ობიექტის კონტროლი, ასევე უნებართვოდ მიმდინარე და უკვე უკანონოდ განხორციელებულ სამუშაოებზე კანონით განსაზღვრული რეაგირების მოხდენა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს".**

## SOS! ბაგა-ბაღებში საქონლის ნაცვლად ისევ ცხენის ხორცი!

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით თაღლითობისა და ფალსიფიკაციის ფაქტზე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ორი პირი დააკავეს.**

სუს-ის ინფორმაციით, საქმე ეხება მარნეულისა და ქარელის მუნიციპალიტეტების ბაგა-ბაღებში საქონლის ხორცის ნაცვლად, მოტყუებით ცხენის ხორცის შეტანის ფაქტებს.

□გამოძიებით დადგინდა, რომ კომპანიებს □□ბი.ჯი.ემ.1□სა და ,,ქართული ხორცპროდუქტების ფერმას□მოგებული ჰქონდათ ა(ა)იპ □მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანებისა□და ა(ა)იპ □ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების□მიერ გამოცხადებული ტენდერები, რომელთა ფარგლებშიც ევალებოდათ საბავშვო ბაღებისთვის საქონლის ხორცის მიწოდება. აღნიშნული კომერციული ორგანიზაციების დირექტორებმა, 2026 წლის მაისში საბავშვო ბაღებში, საქონლის ხორცის ნაცვლად, მოტყუებით შეიტანეს ცხენის ხორცი და შედეგად, თაღლითურად დაეუფლნენ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის □ბ□ქვეპუნქტით, ასევე 197-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მძიმე ავარია ავტობანზე — არის მსხვერპლი

**ქუთაისის ავტობანზე ავარია მოხდა – ერთმანეთს ევაკუატორი და მიკროავტობუსი შეეჯახა. არსებული ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 2 კი დაშავდა.**



შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

# კიბერტერორი საგარეჯოში

## უცნობი პირი არასრულწლოვნებსა და მათ მშობლებს ემუქრება!

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მძიმე და პრეცედენტული კიბერდანაშაული ფიქსირდება. უცნობი პირი, □ინსტაგრამსა□ და □ტიკ-ტოკზე□, ათეულობით არასრულწლოვნისა და მათი მშობლების ღირსების შემლახავ, დამონტაჟებულ ფოტო-ვიდეომასალას ავრცელებს, ფინანსურ გამოძალვის მიზნით აშანტაჟებს და სიცოცხლის მოსპობით ემუქრება.**



### შანტაჟის სქემა და ტერორში მყოფი სოფელი

**დაზარალებულთა რაოდენობა 50-ზე მეტ ბავშვს აღემატება. დამნაშავის სქემა შემდეგნაირია: იგი სოციალური ქსელებიდან იღებს მოზარდების ფოტოებს, ამონტაჟებს მათ შეურაცხმყოფელ კონტექსტში და ავრცელებს სპეციალურად შექმნილ გვერდებზე. მოგვიანებით, იგი მშობლებსა და ბავშვებს 10 000 ლარის გადახდას სთხოვს, 100-ლარიანი კუპიურებით.**

**□ოთხი დღეა, ამ ქაოსში ვართ, ბავშვები ისეთი დასტრესილები არიან, გააუქმეს ანგარიშები, სახლიდან აღარ გამოდიან. ფოტოები რომ აღარ გამოაქვეყნოს, ითხოვს 10 ათასს, □რესტორან კარიბჭესთან დადეთო□ 112-ში დავრეკე, რადგან მანამდე პოლიციამ განცხადებაც არ დაწერა – □ინსტაგრამზე წვდომა არ გვაქვსო□ მოძალადე დარწმუნებულია, რომ პოლიცია ვერ შეეხება□** – აცხადებს ერთ-ერთი მშობელი.

ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც ფოტოების გამოქვეყნებას სატელეფონო ზარები და პირდაპირი ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა დაემატა:

**□ახლა უკვე ზარები დაიწყო ტელეფონზე. სამი გოგო გვყავს თვალში და ყელს გამოსჭრის ჩემი ადამიანიო. ორი ბავშვი მძიმე სტრესის გამო საავადმყოფოში მოხვდა□** – ჰყვება ადგილობრივი.

მშობლების თქმით, მას შემდეგ, რაც შვილების დასაცავად თავად სცადეს დამნაშავესთან დაკავშირება, თვითონაც მუქარის ობიექტები გახდნენ.

* * *

**შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ფაქტზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და პროცედურების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი, რა მუხლით გაგრძელდება გამოძიება.**

საქმეში ჩაერთო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიც.

ორგანიზაცია □საფარის□წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქმეში იკვეთება მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები:

**□სახელმწიფოს ვალდებულებაა, რეაგირება უსწრაფესად მოახდინოს, რადგან საქმე არასრულწლოვნების სიცოცხლეს ეხება. ვიდრე დაკავება მოხდება, შესაბამისი ღონისძიებები უნდა გატარდეს და გამოწერილ იქნეს შემაკავებელი ორდერი კონკრეტული პირების მიმართ□** – აცხადებენ □საფარში□

სამართლებრივად, აღნიშნული ქმედება აერთიანებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ რამდენიმე მძიმე დანაშაულს: **გამოძალვა (მუხლი 181) – ქონების/თანხის მოთხოვნა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის მუქარით; სიცოცხლის მოსპობის მუქარა (მუხლი 151); პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა და კიბერდევნა (მუხლი 157/151N).**

* * *

**სპეციალისტების თქმით, თანამედროვე კიბერგოროტმოქმედები იყენებენ VPN სერვისებს, თორ ქსელებსა და დროებით (Burner) IP მისამართებს, რაც რეალური ადგილმდებარეობისა და მოწყობილობის იდენტიფიცირებას ართულებს.**

ხოლო Meta (Instagram) და TikTok უცხოური კომპანიებია. მათგან მომხმარებლის მონაცემების (IP ლოგები, რეგისტრაციის ინფო) გამოთხოვა ოფიციალური სამართლებრივი მოთხოვნებითა და საერთაშორისო თანამშრომლობის (MLAT) პროტოკოლებით ხდება, რასაც ხშირად კვირები ან თვეები სჭირდება. სანამ ოფიციალური მოთხოვნა გაიგზავნება, თავდამსხმელს შეუძლია წაშალოს ექაუნთები და ციფრული კვალი.

ექსპერტთა შეფასებით, მიუხედავად სირთულეებისა, ციფრული კვალის სრულად წაშლა შეუძლებელია. თუ საქმეში ჩაერთვებიან კვალიფიციური კიბერპოლიციელები, შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის დროს გამოყენებული უნიკალური ციფრული ხელწერის, სატელეფონო ზარების ანძების და ტრანზაქციის მცდელობების (თუნდაც ქეშის დატოვების ადგილის) გაანალიზება და დამნაშავის გამოვლენა.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## კობა ლილუაშვილს (პ/ნ: 18001011871)

**მისამართი: თბილისი, თემურ ქევხიშვილის ქ. 23, ბინა 104**

**ზესტაფონი, სოფელი როდინაული**

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 10 აგვისტოს 15:00 საათზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1, იუსტიციის სახლი, მე-4 სართული) გაიმართება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის სხდომა. განიხილება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის განცხადება□□220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის „აჯამეთი 1“-ის და აჯამეთი 2“-ის ცალკეული მონაკვეთების გაორჯაჭვიანების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მოქცეულ უძრავ ქონებაზე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, თქვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ N32.01.36.343) ნაწილი ექცევა ზემოთ მითითებული პროექტის ზემოქმედების არეალში და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან□ შეთანხმება 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე ვერ შედგა.

□აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამოთმევის წესის შესახებ□საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად □საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის შესაბამისად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია საკუთრების ჩამორთმევა ექსპროპრიაციის გზით. ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება ხორციელდება მინისტრის ბრძანების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამასთან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ექსპროპრიაციის გარდაუვალობა და სუბიექტი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება, ხოლო ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საექსპროპრიაციო ქონების ღირებულებასთან დაკავშირებით ექსპროპრიატორისა და ქონების მესაკუთრის შეუთანხმებლობის საკითხის განხილვა/გადაწყვეტა არ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილებას. □აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ□საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით – თუ ექსპროპრიატორი და ქონების მესაკუთრე ვერ თანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებასა და საკომპენსაციო თანხაზე ან კომპენსაციის სახით შეთავაზებული ქონების გადაცემაზე, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში განსჯადობის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უფლებამოსილი ხართ მონაწილეობა მიიღოთ კომისიის სხდომაზე, მათ შორის წარმომადგენლის მეშვეობით. ამასთან, გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საკითხის განხილვას. დამატებით გაცნობებთ, რომ უფლებამოსილი ხართ განსახილველ საკითხზე წარმოადგინოთ წერილობითი პოზიცია (მის: იუსტიციის სახლი (მე-4 სართული), თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1, ელექტრონული ფოსტა: sakhaladze@moesd.gov.ge, ტელ: +995 32 2991048).

## თამაზ სამხარაძეს (პ/ნ 01008023585)

**მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 14, ბინა 21;**

**ზესტაფონი, სოფელი როდინაული.**

გაცნობებთ, რომ **2026 წლის 10 აგვისტოს 15:00 საათზე,** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1, იუსტიციის სახლი, მე-4 სართული) გაიმართება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის სხდომა. განიხილება სს □საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის განცხადება□□220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის „აჯამეთი 1“-ის და აჯამეთი 2“-ის ცალკეული მონაკვეთების გაორჯაჭვიანების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მოქცეულ უძრავ ქონებაზე, სს □საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის□ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, თქვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ N32.01.36.054) ნაწილი ექცევა ზემოთ მითითებული პროექტის ზემოქმედების არეალში და სს □საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ შეთანხმება 51 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე ვერ შედგა.

□აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამოთმევის წესის შესახებ□ საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად □საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის შესაბამისად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია საკუთრების ჩამორთმევა ექსპროპრიაციის გზით. ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება ხორციელდება მინისტრის ბრძანების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით. **ამასთან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ექსპროპრიაციის გარდაუვალობა და სუბიექტი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება, ხოლო ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.**

**ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საექსპროპრიაციო ქონების ღირებულებასთან დაკავშირებით ექსპროპრიატორისა და ქონების მესაკუთრის შეუთანხმებლობის საკითხის განხილვა/გადაწყვეტა არ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილებას. □აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ□საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით - თუ ექსპროპრიატორი და ქონების მესაკუთრე ვერ თანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებასა და საკომპენსაციო თანხაზე ან კომპენსაციის სახით შეთავაზებული ქონების გადაცემაზე, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში განსჯადობის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

უფლებამოსილი ხართ მონაწილეობა მიიღოთ კომისიის სხდომაზე, მათ შორის წარმომადგენლის მეშვეობით. ამასთან, გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საკითხის განხილვას. დამატებით გაცნობებთ, რომ უფლებამოსილი ხართ განსახილველ საკითხზე წარმოადგინოთ წერილობითი პოზიცია (მის: იუსტიციის სახლი (მე-4 სართული), თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1, ელექტრონული ფოსტა: sakhaladze@moesd.gov.ge, ტელ: +995 32 2991048).

# ქუთაისს 2027 წლის ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი მიენიჭა




**ქუთაისის კანდიდატურა ევროპის სპორტის დედაქალაქებისა და ქალაქების ფედერაციაში ( ACES ) ევროპის სპორტის ქალაქი 2027-ის სტატუსის მოსაპოვებლად ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ წარადგინა.**

ფედერაციის საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით, ქუთაისმა ეს სტატუსი დაიმსახურა სპორტის ყველასთვის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობით, მაღალი დონის სპორტული ინფრასტრუქტურით, მოქალაქეთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვით, სოციალური ინტეგრაციის, სპორტისა და განათლების განვითარებით.

ამ სტატუსის მინიჭებით ქუთაისი უერთდება ACES-ის ოჯახს. ეს ნიშნავს, რომ 2027 წელს მუნიციპალიტეტი ევროპის მასშტაბით სპორტის განვითარების სამაგალითო ქალაქად იქნება აღიარებული.

**„გილოცავთ ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო აღიარებას! ეს ნიშნავს, რომ ქალაქის სპორტული პოლიტიკა, ტრადიციები, ინფრასტრუქტურა და სპორტის განვითარების მიმართულებით გაწეული საქმიანობა საერთაშორისო დონეზე მაღალი შეფასებით აღინიშნა. ეს სტატუსი დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ქუთაისის, როგორც ევროპის სპორტის ქალაქის, განვითარება, მაღალ დონეზე ვუმასპინძლოთ საერთაშორისო სპორტულ ტურნირებსა და მნიშვნელოვან ფორუმებს, გავზარდოთ ჩვენი ქალაქის მსოფლიო ცნობადობა.**

**მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ სტატუსის მოსაპოვებლად გაწეულ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში!“** – განაცხადა ქუთაისის მერმა **დავით ერემეიშვილმა.**



# ბარაქიანი სეზონი

**საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდი წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სარბიელზე.**

ამ გუნდის უფროსი ინსტრუქტორია მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, შავი ქამრის V დანის მფლობელი, საერთაშორისო ლიცენზირებული პროფესიონალი ინსტრუქტორი **ჯაბუკა მახარაძე,** რომლის საუკეთესო სპორტსმენებმაც **გაჩუკი ჩიტუნაშვილმა, ბარბარე თავაძემ, თეკლე გოგიბერიძემ, ვაკო ალიევმა, ლიზი ტატიაშვილმა, ნიკოლოზ ზაქარაშვილმა, ნუცა წიფურიამ, ანდრია საათაშვილმა, ერეკლე კვირკველიამ, ლუკა ლიპარიშვილმა, გიორგი კემულარიამ, მიქაელ ქადაგიშვილმა, ნიკოლოზ ალავიძემ, ნიკოლოზ ჟღენტმა, დემეტრე თოიძემ და ანდრია სონღულაშვილმა** წელსაც საქართველოს სახელით როგორც ეროვნულ, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე დიდი წარმატებით იასპარეზეს და მოიპოვეს ყველა სინჯის უამრავი მედალი.

# ქართული ამბები

## აკადემიური ნიჩბოსნობა

**ვარეზე (იტალია).** ევროპის ჩემპიონატი 30-ზე მეტი ქვეყნის დაახლოებით 400 წარმომადგენლის მონაწილეობით. **ვერცხლი** – გიორგი კანთელაძე და დავით ლაშქარეიშვილი (მწვრთნელი – ნიკოლოზ მიქაუტაძე) – მსუბუქი წონის ორადგილიანი ნავით.

## მხატვრული ცურვა

**პარიზი (საფრანგეთი).** ევროპის ჩემპიონატი 22 ნაკრების მონაწილეობით. სოლო პროგრამის როგორც თავისუფალი, ისე ტექნიკური დისციპლინების ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა **მარია ალავიძემ.**

## ჭიდაობა

**ბაქო (აზერბაიჯანი).** 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. თავისუფალი სტილი. **ვერცხლი** – ბოგდან კვანტალიანი. ბერძნულ-რომაული სტილი. **ბრინჯაო** – ნინო სამხარაძე.

## შერეული ორთაბრძოლები

**ბურგასი (ბულგარეთი).** MMA-ის ორგანიზაცია ბრეივის მორიგ ღონისძიებაზე **ბიძინა გავაშელიშვილმა** კარიერაში მე-16 ბრძოლა სამხრეთაფრიკელ ლუტანიდო ბიკოს 3 რაუნდის შემდეგ ქულებით მოუგო.



# საიმონ კიბლი აღტაცებულია

**მსოფლიო რაგბის XV-ის მიმართულების ხელმძღვანელი და რაგბის ახალგაზრდული ჩემპიონატის დირექტორი საიმონ კიბლი, საქართველოში გამართული მსოფლიო რაგბის ახალგაზრდული ჩემპიონატის საორგანიზაციო ნაწილით აღფრთოვანებული დარჩა.**

მან გაიხსენა 2017 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი, რომელსაც საქართველომ უმასპინძლა და იმ დროისთვის საუკეთესო შეფასება მიიღო, ახლა კი ამბობს, რომ წლევანდელი ტურნირი კიდევ უფრო მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და იმედოვნებს, რომ ის გაისადაც საქართველოში ჩატარდება.

**საიმონ კიბლი: „აქ ყოფნა მართლაც შესანიშნავი გამოცდილება იყო. საქართველოს რაგბის კავშირმა 16-გუნდიანი, გაფართოებული ფორმატის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ორგანიზებას გამორჩეულად მაღალი პროფესიონალიზმით გაართვა თავი. ტურნირი სრულიად ახალი ვიზუალური იდენტობით წარვადგინეთ, რაც 16-გუნდიან ფორმატს ახალ, თანამედროვე და განახლებულ სახეს სძენდა. საქართველოს რაგბის კავშირმა ამ მიმართულებითაც შესანიშნავი სამუშაო შეასრულა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სათამაშო მოედნების ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ ტურნირი 16 გუნდამდე გაფართოვდა, სწორედ ამ ჩემპიონატზე დაფიქსირდა ყველაზე მეტი ლელო მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატების ისტორიაში, თანაც, მნიშვნელოვანი სხვაობით. ამ შედეგს დიდწილად განაპირობებდა როგორც უმაღლესი ხარისხის სათამაშო მოედნები, ისე ის მასპინძლობა, რომელიც საქართველოში ჩამოსულმა ყველა გუნდმა მიიღო.**

**გუნდებისგან მიღებული შეფასებები დღემდე უაღრესად პოზიტიურია. საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თვისება სტუმართმოყვარეობაა – აქ ადამიანები ყოველთვის განსაკუთრებულად მიღებულად და დაფასებულად გრძნობენ თავს.**

**გუნდები უზრუნველყოფილი იყვნენ ხარისხიანი კვებითა და ყველა საჭირო პირობებით. ბოლო ვიზიტთან შედარებით, განსაკუთრებული პროგრესი შეინიშნებოდა ინფრასტრუქტურის მიმართულებით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა როგორც სავარჯიშო, ისე სათამაშო ბაზები.**

**ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება განსაკუთრებით ქუთაისში შეიმჩნეოდა – ქალაქში დღეს გაცილებით მეტი მაღალი დონის სასტუმროა, ვიდრე ადრე იყო. ამავდროულად, საქართველოს რაგბის კავშირმა გუნდებს დაბალანსებული მიდგომა შესთავაზა – მაღალი ხარისხის სასტუმროები, თუმცა ზედმეტი ფუფუნების გარეშე.**

**განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სპორტსმენების კვებას. მიზანი იყო, მოთამაშეები გაცნობოდნენ ქართულ სამზარეულოს და ამავე დროს, მიეღოთ მაღალი სპორტული შედეგისთვის აუცილებელი, პროფესიონალურად დაბალანსებული კვება.**

**ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბევრ გუნდს უკვე ჰქონდა საქართველოში ყოფნის გამოცდილება. ზოგიერთი მათგანისთვის ეს თითქმის შინ დაბრუნებას ჰგავდა. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, რომელსაც სტუმრები საქართველოში გრძნობენ – ქვეყნის კულტურას, სამზარეულოს, განსხვავებულ გარემოსა და ადამიანების დამოკიდებულებას.**

**პირადად ჩემთვის საქართველოში ყოველი ჩამოსვლა სასიამოვნო გამოცდილებაა და იგივე შეფასებას ვისმენ იმ ეროვნული გუნდებისგანაც, რომლებმაც უკვე გაგვიზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები. თუ შევადარებთ საქართველოში ჩატარებულ პირველ ტურნირს (2017 წელს) და დღევანდელ რეალობას, თვალსაჩინოა, რამდენად განვითარდა ქვეყანა. მაშინ ჩემპიონატში მხოლოდ 12 გუნდი მონაწილეობდა და თბილისიდან ქუთაისამდე მგზავრობას დაახლოებით სამნახევარი-ოთხი საათი სჭირდებოდა, დღეს კი, ახალი ავტომაგისტრალის წყალობით, ეს დრო დაახლოებით ორსაათნახევრამდეა შემცირებული.**

**ინფრასტრუქტურაც მნიშვნელოვნად განვითარდა. ის ობიექტები, რომლებიც პირველად ჩატარებული ჩემპიონატის დროს ჯერ კიდევ შენების პროცესში იყო, დღეს უკვე სრულად ფუნქციონირებს და მაღალი ხარისხით გამოირჩევა“.**

# მშვიდობით ჩააღწიეს და ზავი გააფორმეს

**ქართული კლუბების ევროპული კოშმარი გრძელდება.**



კერძოდ, თუ თბილისის დინამომ ვილნიუსის ჟალგირისთან ნაჭამი სირცხვილი ლიეტუვის დედაქალაქში ტაბლოზე ასახა – 2:7, ევროპა ლიგაზე დაქვეითებულ იბერიას ორგანიზატორული პრობლემა გამოუჩნდა, რის გამოც ჩრდილოეთ ირლანდიაში მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველი თამაშის წინა ღამეს ჩააღწია.

მეტოქე კლუბის სეხნია ქალაქი ლარნე 20 ათასამდე მცხოვრებს ითვლის, იქაურ სტადიონ ინვერ პარკზე კი 3 ათასამდე ადგილია ქომაგთათვის. რაც შეეხება თბილისელთა ჩარტერული რეისის გაუქმებას, მისი მიზეზი გახდა მასპინძელი მხარის მიერ ფრანგული ავიაკომპანიის კუთვნილი კერძო თვითმფრინავის მიღებაზე უარის თქმა, რის საბაბადაც მათ აეროპორტში დაწესებულ სტანდარტებთან აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების შეუსაბამობა დასახელდა.

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ სტუმრებმა ახალი ლაინერები დაიქირავეს და დელეგაცია დანიშნულების პუნქტისკენ ორ ნაწილად გაყოფილი გაფრინდა – პირველი 16 ფეხბურთელით, მეორე კი – სათადარიგო მოთამაშეებით და პერსონალით.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენმა გუნდმა მომხდარის შესახებ უეფას საშეჯიბრო კომიტეტს აცნობა და შეხვედრის 1 დღით გადადება მოითხოვა, თუმცა უშედეგოდ – 0:0.



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია და საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 64 წლისა გარდაიცვალა თბილისის ბურევესტნიკის ვეტერანი ხელბურთელი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის დირექტორი, სპორტის სამმართველოს უფროსი, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ბიზნესის ადმინისტრირება), ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და გამგეობის წევრი, მე-6 და 111-ე საჯარო სკოლების დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი**

## მერაბ მეტრეველი

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

სულთათანა

# მიხეილ კუხალაშვილი



მეუღლე ლილი კვინიკაძე, შვილები გოჩა და მარიამ (ხათუნა) კუხალაშვილები, რძალი მაკა გოგუაძე, სიძე მამუკა ლომიშვილი, შვილიშვილები თათია, მიშა კუხალაშვილები, ბაქარ, საბა ლომიშვილები, სიძე დავით დვალიშვილი, რძლები მეგი ქათამაძე, თიკო ჯანიაშვილი, შვილთაშვილები დემეტრე დვალიშვილი, ნატალი კუხალაშვილი, ვაჩე ლომიშვილი, ძმები ჯემალ, გიზო კუხალაშვილები, დები მაგული, ქეთევან კუხალაშვილები, რძლები ნუნუ მაჭანკალაძე, მერი შათირიშვილი, სიძეები ამბერკი ტაბიძე, დავით ჩიხრაძე ოჯახებით, მამიდაშვილები ვალერი ასათიანი, ნუნუ, ნანო, როზა ომანაძეები, ბიძაშვილები ზურაბ კუხალაშვილი, მურმან ჩაკვეტაძე, დეიდაშვილები ეთერ, კახა ყურაშვილები ოჯახებით, ბიძაშვილების, მამიდაშვილების, დეიდაშვილების შვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

## მიხეილ კუხალაშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდები 6, 7 აგვისტოს მცხეთაში, ჭავჭავაძის ქუჩა N14-ში. გამოსვენება 8 აგვისტოს 14 სთ. მცხეთის სასაფლაოს წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიიდან.

---

გივი აგდუშელიშვილი, მერაბ ახობაძე, გიჭიკო არაბაშვილი, გიზო გაქანიძე, გიორგი გილანიშვილი, თემურ გერიშვილი, თამაზ გაგუნია, გურამ გუნავა, მირზა ქორქაშვილი, ალეკო გოცირიძე, ბაკურ გულუა, გურამ დიდგარიძე, სანდრო დიდებულიძე, დათო ერქვანია, ომარ ჟღენტი, თემურ თოფურიძე, გივი თალაკვაძე, ომარ კაჭარავა, ნუგზარ კახიშვილი, ზურაბ ლომიძე, ლაური ჯანაშია, თამაზ ტუღუში, ავაზ მემანიშვილი, გივი ჯაფარიძე, ვიტალი ღლონტი, გრიშა შონია, ვალერი შამათავა, გენრი ფრანგულაიშვილი, მურთაზ მამისეიშვილი, მურთაზ უგულავა, კოტე წვერავა, ჯემალ ქიტიაშვილი, კოტე შენგელია, მალხაზ კაკაბაძე თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს მეგობარს ჯემალ კუხალაშვილს და მის ოჯახს ძმის, ცნობილი იურისტის, კეთილშობილებით, ნიჭიერებით, კაცთმოყვარეობით აღსავსე ბრწყინვალე მეოჯახის და მამულიშვილის



## მიხეილ კუხალაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვალერი ასათიანი ოჯახით გამოხატავს დიდ გულისტკივილს უახლოესი ნათესავის, შესანიშნავი პიროვნების

## მიხეილ კუხალაშვილის

გარდაცვალების გამო.

# პანტელეიმონობა

**9 აგვისტოს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს უდიდესი საეკლესიო მოღვაწის, წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის ხსენებას, რომელიც ნიკომიდიაში მესამე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა.**

...ერმოლაოსს სასულიერო მოღვაწეს – აუღია ქრისტიანული ღირებულებებზე პანტელეიმონ მკურნალის აღზრდა.

აღსანიშნავია, რომ წმინდა პანტელეიმონ მკურნალს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ცნობილი მედიკოსების ნაშრომები... მას შეეძლო, განეკურნა ავადმყოფები ქრისტეს სახელით და თავისი სამედიცინო გამოცდილებით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამასთანავე უსინათლოებს მისი მკურნალობით თვალის ჩინი უბრუნდებოდათ, ხეიბრები დადიოდნენ და განკურნებულნი ადიდებდნენ უფალს... ქრისტიანობის მქადაგებელი მოაკვდინეს მესამე საუკუნის ბოლოს.



...დედაქალაქში პანტელეიმონის სახელობის ბევრი ტაძარია... განსაკუთრებული ზეიმით ხვდება ამ დღეს საბურთალოზე მდებარე ტაძარი. ნიშანდობლივია, რომ ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი დავითი (შენგელია) თავის მრევლთან და მღვდელ-მსახურებთან ერთად მუხლჩაუხრელად კვლავაც იღვწის თავისი შეკრების ადგილის მზრუნველობა-განახლებისათვის...

**ამ დღეებში მეც ვეწვიე მამა დავითს. მამა დავითმა ტრადიციისამებრ დალოცა „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის ყველა თანამშრომელი, ხუთშაბათს საჭანმრთელო პარაკლისზე კი – უძლურებაში მყოფნი. ზოგადად გაზეთის ყველა მკითხველი, ერი აკურთხა და დალოცა.**

გიული ლიპარტია

---

# ლატარიაში 167.3 მილიონი დოლარი მოიგო – მულტიმილიონერი ისევ დააკავეს!..

**People-ის ცნობით, კენტუკის შტატის ქალაქ ჯორჯთაუნში მცხოვრები 51 წლის ჯეიმს ფართინგი ლატარიაში 167.3 მილიონი დოლარის მოგების შემდეგ მეოთხედ დააკავეს.**

ამჯერად მას ოჯახში ძალადობის ბრალდება წაუყენეს. ტაბლოიდის ცნობით, მულტიმილიონერი სკოტის ოლქის ციხეში გადაიყვანეს. ის 26 ივლისს დააკავეს და 28 ივლისს სასამართლოში წარდგა, სადაც უდანაშაულობა აღიარა. მას 15 000 დოლარის გირაო შეუფარდეს, სავარაუდო მსხვერპლთან მიახლოება აუკრძალეს და სპეციალური სამაჯურის ტარება მოსთხოვეს, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს ბრძანების დარღვევის შემთხვევაში გააფრთხილებს.

სავარაუდო მსხვერპლის ვინაობა არ გახმაურებულა. ქალის თქმით, მას და ფართინგს ნავით გასეირნების შემდეგ კამათი მოუვიდათ. ლატარიის გამარჯვებულმა, სავარაუდოდ, ორივე ხელი კისერზე მოუჭირა, რამაც სუნთქვის გაძნელება გამოიწვია.

ფართინგმა Powerball-ის ჯეკპოტი გასული წლის აპრილში მოიგო. შემდეგ მან განაცხადა, რომ მოგების დედასთან, ლინდა გრიზლთან, გაყოფა სურდა. ის ამ ფულით ვალების დაფარვას გეგმავდა. ფართინგი ლატარიაში მოგებიდან რამდენიმე დღეში დააკავეს. მაშინ მას სამართალდამცავ ორგანოებზე თავდასხმასა და დაკავებისას წინააღმდეგობის გაწევაში ადანაშაულებდნენ. პოლიციის განმარტებით, ფართინგმა პოლიციელს მაშინ დაარტყა, როდესაც პოლიციელი მასსა და სხვა მამაკაცს შორის კამათის ჩაშლას ცდილობდა.

New York Post-ის ცნობით, მას ადრე ნოემბერში მანქანასთან შეჯახებისა და ადგილიდან ფეხით გაქცევის ბრალდებით ადანაშაულებდნენ. თებერვალში ფართინგი სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ მუქარის ბრალდებით დააკავეს. 2025 წელს The New York Post-მა გამოაქვეყნა, რომ ფართინგი 30 წლით იყო ციხეში გამწესებული.

ფართინგი თინეიჯერობიდან არღვევდა კანონს; ის ათი წლის განმავლობაში სწავლობდა სკოლაში და დიპლომი ციხეში მიიღო. ბოლო წლებში მან დედამისი კრიმინალურ სქემებში ჩართო, მათ შორის ციხეში ნარკოტიკების კონტრაბანდაში. ის ასევე იპარავდა ნივთებს სხვა პატიმრებისგან და მათი დაბრუნებისთვის ფულს ითხოვდა. ფართინგი ხანდახან პირობით ვადაზე ადრე თავისუფლდებოდა, მაგრამ მალევე ბრუნდებოდა ციხეში ნარკოტიკების მოხმარების გამო.

---

## გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის" 2026 წლის 1(20) ნომერი!

# «შეიცან თავი შენი»...



ალმანახის რედაქტორია **გიორგი ნატროშვილი**. გარეკანი გაფორმებულია **ანა კვიწინაშვილის** ნახატებით. ყდის მე-2 გვერდი **ჯანსუღ ჩარკვიანის** დაბადებიდან 95-ე წლისადმია მიძღვნილი. ყდის მე-3 გვერდზე იხილავთ მოკლე ბიოგრაფიულ ინფორმაციას **ანა კვიწინაშვილის** შესახებ, რომლის ნამუშევრებითაც არის გაფორმებული ალმანახის გარეკანი. უნდა აღინიშნოს, რომ ალმანახის ეს ნომერი ეძღვნება დედოფლისწყაროელ ავტორებს.

ალმანახი იხსნება გარდაცვლილი დედოფლისწყაროელი ავტორების **ნინო თარიშვილის, იოსებ ბაიაშვილის, ივანე წიკლაურის, გიორგი ნატროშვილის, დავით პატატიშვილის, ობოლა ჯალაბაურის**, **ალექსანდრე ნატროშვილის**, **დავით ნატროშვილის, ანზორ ჯალიაშვილის, ვენერა ნატროშვილის, ზაურ გონაშვილის, გიული სამუკაშვილის, ჯუმბერ უთრუთაშვილის, ზურაბ ცისკარაულის** და **ლევან ალავერდაშვილის** შემოქმედებით.

პოეზიის რუბრიკა იხსნება ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის **მაყვალა გონაშვილის** ლექსებით; ამავე რუბრიკაში არიან წარმოდგენილი შესანიშნავი პოეტები: **თამაზ წიკლაური, მარინე ცხვედიაშვილი, ირმა შიოლაშვილი, ქეთევან ნათელაძე, ეკატერინე ჯავახიშვილი, ნათია ჭინჭარაული, ნინო ქადაგიძე, ანა არაბული, ნინო ალადაშვილი, იკა ქადაგიძე, ზიზო ბურდული, თინა გახელაძე, ნატო ყატაშვილი (აფაქიძე), ეკა ქაჯაია, შმაგი ჭინჭარაული, დიმიტრი წიკლაური, აკაკი სამუკაშვილი, თამარ ნასრაშვილი, ლექსო ლეკიაშვილი, ეკა თარაშვილი, ლალი მეხრიშვილი, ნინო კაჭკაჭიშვილი, ვახტანგ ტოხიშვილი** და **მარიამ ტოხიშვილი.** იგივე რუბრიკაში 50ე გვერდიდან შეგიძლიათ, წაიკითხოთ **ნოდარ ჟიჟიაშვილის** პოემის „ბოლშევიკურად ჯვარცმული", რომელიც მიხა ხელაშვილს ეძღვნება, .დასასრული.

რუბრიკაში „პროზა" მკითხველი გაეცნობა: **ჯემალ მეხრიშვილის, დიანა მეტონიძის, ქეთი გაბინაშვილის** და **მარიამ ტოხიშვილის** მოთხრობებს.

რუბრიკა „ახალი სახელები" გაგაცნობთ **ზურაბ გოგიას** და **გიორგი ქენქაძის** ლექსებს.

რუბრიკაში „მართლმადიდებლური ფსიქოლოგია წაიკითხავთ **ნათია ჯიყაშვილის** წერილს „შეიცან თავი შენი".

ალმანახის ტრადიციული რუბრიკა „ხელოვნება" გთავაზობთ **ნანა ჭიჭინაძის** წერილს „მიხეილ თუმანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო".

რუბრიკაში „დედოფლისწყაროს ისტორიიდან" გაეცნობით დედოფლისწყაროს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორის **ქეთევან მჭედლიშვილის** წერილს: „ორბელიანები დედოფლისწყაროს ისტორიაში გრიგოლ ორბელიანის მაგალითზე".

# ვაიმე, შვილო, სიბერეში რას მოვესწარით!..

მოძმეთა ღალატს ნუ გავივლებთ ნურც ერთი წამით,
და ნუ შევცდებით შემოგდებულ არამი ქრთამით,
ნუ ვასარგებლებთ კარს მომდგარი უჟამო ჟამით,
წინაპართა ძვლებს მოსვენებას ვუკარგავთ ამით...

ერთმანეთს ნუღა შევასკდებით ძველ გალომებით,
არც შემოსეულთ მივეტმასნოთ ბრმა დამონებით,
ვინძლო ჯილაგიც არ გავჯიჯგნოთ, მოყვარე ძმებო,
არსობის პურად კვლავ შევიკრათ, თავთუხის ძნებო!

მხოლოდ სამშობლოს სიყვარულში მინდა დავბერდეთ,
აქა-იქ კი არ გავიფანტოთ, უნდა გავბევრდეთ,
მხოლოდშობილ ერს არ გაგვწირავს მაშინ უფალი,
და საქართველო სულ იქნება თავისუფალი!

ვაიმე, შვილო, სიბერეში რას მოვესწარით!
ნეტავი, წამლად კვლავ გამოდგეს ფუტკრის ნესტარი,
გაგვიზაფხულდეს, აქ დაბრუნდნენ ბუდის მერცხლები,
მაშინ ღვთის მადლით და კურთხევით შევივერცხლებით...

**მედეა მოსულიშვილი**




# სახალხო დღესასწაული „თიანეთობა“

**თიანეთის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაული □თიანეთობა“ აღინიშნა. ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა სახის კულტურული, გასართობი, საგანმანათლებლო — საბავშვო, სპორტული, შემეცნებითი და მუსიკალური აქტივობა იმართებოდა.**

ასევე, ღონისძიების ფარგლებში რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა საპატიო მოქალაქის წოდებით 5 პირი დააჯილდოვეს. სიგელებითა და ფულადი თანხებით დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები.

სადღესასწაულო პროგრამა მიწვეული შემსრულებლების კონცერტმა და ელექტრონული მუსიკის საღამომ დაასრულა.

# ატენის ხეობაში იაპონურ-ქართული ტექნოლოგიური ფესტივალი გაიმართა

**ატენის ხეობაში, ღია სივრცეში წარმოდგენილი იყო ქართული და იაპონური კულტურა. მონაწილე ახალგაზრდებმა დამთვალიერებლებს გააცნეს ქართული და იაპონური ხელოვნება და შემოქმედება.**

ტექნოლოგიური ნაწილი კი დაეთმო ინოვაციებსა და თანამედროვე ციფრულ მიმართულებებს.






# გურიაში ტყე 702 ჰექტარ ფართობზე აღდგება

**გასულ წლებში რეგიონში სხვადასხვა სახეობის 15 000-მდე ნერგი დაირგო, მათ შორის საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები.**

გურიის რეგიონში ტყის აღდგენა-გაშენების მიმდინარე და დასრულებული პროექტები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

მათი განცხადებით, ტყეების აღდგენა, განსაკუთრებით კი დეგრადირებული ტყეების რეაბილიტაცია, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

# „მემკვიდრეობა, მეცნიერება, არქეოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები“

**ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში საერთაშორისო საზაფხულო სკოლის □მემკვიდრეობა, მეცნიერება, არქეოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები□პირველი ეტაპის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა,** – ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

„საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში ქართველ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობენ ახალგაზრდები ბაქოს, ანკარისა და პრაღის უნივერსიტეტებიდან, აგრეთვე □ფერეიდნელი ქართველი.

**პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ჰეიდარ ალიევის ფონდისა და ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის მხარდაჭერით.**

სკოლას უკვე მესამე წელია, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი მასპინძლობს. საზაფხულო სკოლა მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ხელმძღვანელობით გაეცნონ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და დაცვის თანამედროვე მეთოდებს, არქეოლოგიაში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებს, ასევე, გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა და გამოცდილება, მოინახულონ მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლები და მუზეუმები.

**პირველი ეტაპის შემაჯამებელ ღონისძიებაზე სესიები დაეთმო თემას □ბიო-კულტურული მემკვიდრეობა, როგორც საქართველოს კონკურენტუნარიანობის გასაღები□**



სესიებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი და ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის აკადემიური დირექტორი, **დავით ლორთქიფანიძე** უძღვებოდა. მოხსენებები წაიკითხეს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა და ექსპერტებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე **გიორგი მირცხულავა,** აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ფაიგ გულიევი.**

**პროგრამის □მემკვიდრეობა, მეცნიერება, არქეოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები“ მეორე ეტაპი დმანისის საერთაშორისო საველე სკოლაში ჩატარდება. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიურ გათხრებში და ახალი აღმოჩენების მომსწრე და მონაწილე გახდნენ“.**

**საქართველოს რესპუბლიკა**

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებული, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 აგვისტოს**